1149н 13.341

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურჯი ეროვნებისა

3(8)

მარტი ● BURJI EROVNEBISA ● 1996 წელი

მარადიული თანამედროვე

12 თებერვალს შესრულდა 130 წელი შიო მღვიმელის დაბადებიდან

„სახალხო ფურცელში“ (№257, 1915 წ.) გამოქვეყნდა ეკატერინე გაბაშვილის წერილი შიო მღვიმელზე; იმავე გაზეთის 262-ე ნომერში ვაჟა-ფშაველა წერდა:



„დიდი მადლობის ღირსია ქ-ნი ეკატერინე ამ წერილისათვის, ახალი ჟურადღებისათვის იმ დაჩაგრული ადამიანისადმი, რომელსაც ამ 30 წლის განმავლობაში ერთი თბილი, გამამხნევებელი სიტყვაც კი არ გაუგონია თანამოძმეთაგან. არ გამოჩნდა არავინ მამაკაცთაგანი, აღენიშნა შიოს მოღვაწეობა, მისი ღვაწლი სამწერლო ასპარეზზე, ღირსეულად დაეფასებინა იგი, ჰქონოდა იმდენი გაბედულება, რომ ეთქვა: შიო მღვიმელი ნიჭიერი მწერალიაო. შიოს ყველანი პატარა კაცად ხთვლიან: ჩვენი შიო, ჩვენი შიო და არავინ ფიქრობს იმას, რომ ეს პატარა კაცი იმავე დროს ძალიან დიდი კაცია; მისი ღვაწლი დიდმნიშვნელოვანია. ვინც ბალღებს კეთილგონიერად ზრდის, იგია აღმზრდელი და გამბედნიერებელი ერისა,ვინაიდან სიყრმის დროს დათესილი კეთილი თესლი დიდობაში უხვად გამოიღებს ნაყოფს. ამიტომ აძლევს ჭეშმარიტი პედაგოგიკა უდიდეს მნიშვნელობას დაწყებით სწავლას, სიყრმის დროს მიღებულ შთაბეჭდილებათა; ამ შთაბეჭდილებათა ანკარა წყარო ეს „ჩვენი შიო“ გახლავს“. „მოეცით კეთხრისა კეთხარსა და ღვთისა ღმერთსაო“, ბრძანა მაცხოვარმა. ჩვენც სწორედ ასე უნდა ვიქცეოდეთ და არავის ამაგი არ დაუკარგოთ. ნურავის ჰგონია, ადვილი იყოს საბავშვო ლექსის და მოთხრობის დაწერა, ყველაზე ძნელი — სწორედ ესაა, და თუ არ ღვთიური ნიჭით მირონცხებულს და სულით მდიდარს, რითაც ერთგვარად 5-6 წლის ბავშვს უახლოვდებ 40 წლის ადამიანს, არ შეუძლიან გახდეს საბავშვო მწერალი“.

ბესარიონ ჯორბენაძის
საზოგადოების გაზეთი

მთავარი რედაქტორი
გიორგი გოგოლაშვილი

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
იოსებ ჭუმბურიძე

დირექტორი
კახა გაბუნია

პასუხისმგებელი მდივანი
ბაბუკა ქირია

მხატვრული რედაქტორი
ილია ჭრელაშვილი

რედაქტორები:
ქეთევან დათუქიშვილი,
ციცინო კვანტალიანი,
ბარინე კიკონიშვილი,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ძურაძე,
ნინო ჭუმბურიძე

რედაქციის გამგე
მაია კობიაშვილი

სარედაქციო საბჭო
გენადი ბურჭულაძე,
ლეილა ფეფეჩაძე,
კორნელი დანელია,
მანანა კობაიძე,
რუსუდან ლანდია
ნანა ურთაშვილი
მიხეილ ძურდიანი,
ლევან ლვინჯილია,
გიორგი ფიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე,
ნინო ჯორბენაძე

მორიგე რედაქტორი
ციცინო კვანტალიანი

დავხუჭოთ თვალი?

უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო გეგმების შედგენა, ერთი მხრივ, და უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების საგნების შერჩევა, მეორე მხრივ, არაერთი დისკუსიის საგანი ყოფილა ამ ბოლო წლებში. საკითხი სხვადასხვა კუთხით დაისმოდა და დისკუსიის მონაწილეთა მოთხოვნებიც სხვადასხვაგვარი იყო. ვერ ვიტყვით, რომ ყოველთვის საღი აზრი იმარჯვებდა, მაგრამ, საბედნიეროდ, არც უამისობა იყო.

ძირითადი სადისკუსიო პრობლემა ქართული ენა და ლიტერატურა იყო: ვასწავლოთ თუ არა უმაღლესი სასწავლებლის არასპეციალურ ფაკულტეტებზე და თუ ვასწავლოთ, როგორ, რა პროგრამით? უნდა ჩაბარდეს მისაღებ გამოცდებზე ეს საგანი თუ არა და, თუ უნდა ჩაბარდეს, როგორ, რა სახით?... ეს კითხვები არაერთგზის დაისვა ბოლო წლებში.

ახლახან სახელმწიფო კონსერვატორიაში საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხი გახდა სადისკუსიო თემა. კერძოდ, კონსერვატორიის სასწავლო პროგრამიდან ამოიღეს საქართველოს ისტორია. როგორც მოსალოდნელი იყო, ამას სპეციალისტთა აღშფოთება მოჰყვა, რამაც კონსერვატორიის რექტორის გაკვრვება გამოიწვია.

ამთავითვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ არ გვაქვს კონკრეტულად ამ დისკუსიაში ჩართვის სურვილი. ჩვენ გვსურს პრობლემა სხვა კუთხით დავინახოთ: საქართველოს ისტორიის სწავლებაზე უარის თქმა ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის მიერ არაა გამონაკლისი შემთხვევა. სხვა უმაღლესმა სასწავლებელმა სავალდებულო საგანი ქართული ენა არჩევით საგნად გამოაცხადა და არჩევანის გაკეთების უფლება სტუდენტებს მისცა; მეორე უმაღლესმა სასწავლებელმა მისაღები გამოცდების საგანთა ნუსხიდან ამოიღო ქართული ენა და ლიტერატურა; იქვე არასპეციალურ ფაკულტეტებზე ქართული ენა აღარ ისწავლება. ასევეთვე ბევი ეწია საქართველოს ისტორიასაც არაერთ უმაღლეს სასწავლებელში. აღარას ვამბობთ არასახელწმიფო უმაღლეს სასწავლებლებზე. დავხუჭოთ თვალი და შევეგუოთ ყოველივე ამას?

სასწავლო საგანთა ნუსხიდან საქართველოს ისტორიის ამოღებას ასე ასაბუთებენ: „ეს სიახლე უმაღლესი სასწავლებლის რეფორმასთანაა დაკავშირებული, რომელიც სხვათა შორის, ერთ-ერთ მიზნად დასავლეთში მიღებულ სტანდარტებთან მიახლოებას ისახავს" („რეზონანსი", 3-4 თებერვალი, 1996 წ, გვ. 7). უკვე მერამდენედ იშველიებენ დასავლეთის ქვეყნების სტანდარტებს, მაგრამ არც ერთხელ არ გაეცა პასუხი კითხვას: ვართ კი ჩვენ მზად იმ სტანდარტების შემოსაღებად? საიდან დავიწყოთ რეფორმა, ზემოდან...?

რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმებით მსჯელობას, რომ „სკოლაში დაშვებული სერიოზული შეცდომები უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც წესი, ვერ გამოსწორდება" (იქვე).

გვწამს და გვჯერა: სანამ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა სკოლას დაემსგავსება, სანამ სკოლა თავის უშუალო საქმეს თავს გაართმევს, უმაღლესმა სკოლამ დიახაც უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ მშობლიური ენისა და ლიტერატურის თუ ისტორიის სწავლებაში დაშვებული ხარვეზები გამოასწოროს. სკოლაზე გადაბრალება გაუნათლებელ სპეციალისტთა თაობას გაგვიზრდის...

ასევე მსჯელობენ: „ჩვენ მისაღები საგამოცდო პროცესის ჩაშლას გვთავაზობენ, რადგან არასპეციალური საგნის - მეტ-ნაკლებმა ცოდნამ იოლად შეიძლება შემოაბრუნოს ახალგაზრდა მუსიკოსის ბედი" (იქვე). ეს „არასპეციალური საგანი" საქართველოს ისტორიაა და, ალბათ, ქართული ენა და ლიტერატურაც. კი, მაგრამ, იქნება კი ის ქართველი სპეციალისტი (მუსიკოსი, მხატვარი, მსახიობი...), ვინც საქართველოს ისტორიასა თუ ქართულ ენას „არასპეციალურ", ზედმეტ საგნად მიიჩნევს?

ამ თემაზე საუბარი შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ ჩვენთვის მთავარია ერთი საკითხი — როგორია განათლების სამინისტროს პოზიცია?..

სამწუხაროა ფაქტად მიგვაჩნია ის, რომ ასეთი დისკუსიები იმართება და განათლების სამინისტრო მას დუმილით ხვდება. 1989—1990 წლებში ორი სახელმწიფო პროგრამა დამტკიცდა — ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის. ორივე პროგრამაში საგანგებო ყურადღება ამ საგნების სწავლებაზე იყო გამახვილებული. ორივე შემთხვევაში განათლების სამინისტროს ევალებოდა ამ საკითხზე პასუხისმგებლობა. რამდენადაც ეს პროგრამები არავის გაუუქმებია, ივარაუდება, რომ მოქმედებს. განათლების სამინისტროს პასუხისმგებლობა კი არ ჩანს...

როცა საკითხი ამა თუ იმ საგნის სწავლებას, ანდა მისაღები გამოცდების ნუსხაში მის ყოფნა-არყოფნას ეხება, ინიციატივათა ავტორები უმაღლესი სასწავლებლის ავტონომიურობას მოიშველიებენ ხოლმე. გარკვევით ითქვა თავის დროზე და ახლაც უნდა გავიმეოროთ: ქართული ენისა და ლიტერატურის თუ საქართველოს ისტორიის სწავლება-არსწავლების საკითხი არ უნდა იყოს რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის გადასაწყვეტი. ამ საკითხზე სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს და განათლების სამინისტროს მეშვეობით მართავდეს პროცესს. ამას მოითხოვდა ზემოხსენებული სახელმწიფო პროგრამები და ეს მოთხოვნა უნდა შესრულდეს.

უკვდავება ღვაწლისა

მოგონებათა ფრაგმენტები

26 მარტი არნოლდ ჩიქობავას დაბადების დღეა... იგი წელს 98წლისა შესრულდებოდა... მისი სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტთან ერთად ტრადიციულად მართავს მორიგ,მეშვიდე „საკითხავებს“....

პროფ. ბ. ბურჭულაძემ ამ დღისათვის შეარჩია არნ. ჩიქობავას მოგონებათა რამდენიმე ფრაგმენტი,რაც მასწავლებელს მისი მოწაფისთვის სხვადასხვა დროს უამბია. მათში კარგად ჩანს არნ. ჩიქობავა — პირუთვნელი და პრინციპული, დიდი მეცნიერი და მოქალაქე.

მარქსიზმი და ენათმეცნიერება

1928 წელს მისულან საენათმეცნიერო საზოგადოების შესამოწმებლად. ამ საზოგადოების მდივანი კი ბატონი არნოლდი გახლდათ. შეკითხვაან: რა დამოკიდებულებაშია ენათმეცნიერება მარქსიზმთანო.

ბატონი არნოლდის პასუხი ასეთი ყოფილა: ჩვენ, ჯერჯერობით ენობრივი მასალის შეკრების სტადიაში ვართ, თეორიული ხასიათის განზოგადებანი კვლევის შემდგომში საფეხურია და,ამდენად, მარქსიზმი იმდენადაა გამოსაყენებელი ჩვენთან, როგორადაც, მაგალითად,მინერალოგიაშია...

მარქსიზმის ასეთი „ინტერპრეტაციაა“ შეუმჩნეველი, რა თქმა უნდა, არ დარჩებოდა და არც დარჩენიათ, მიუტანიათ იგი ზემდგომ ინსტანციებში. ამიერკავკასიის ცაკ-ის ერთ-ერთ ხელმძღვანელს მთავრობის სხდომაზე საყაროდ უთქვამს: აი, ასე ბრძანებს საენათმეცნიერო საზოგადოების მდივანი და ეს იმიტომ, რომ აკეური ენათმეცნიერები გაურბიან ნ. მარის მარქსისტულ მოძღვრებასო.

ეს მომხდარა არნოლდ ჩიქობავას მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვამდე ერთი თვით ადრე.

ეს ამბავი, ჩანს, სცოდნიათ ა. შანიძესა და ფ. გოგიჩაიშვილს; ეს უკანასკნელი მისულა ბატონ არნოლდთან და უთქვამს: დისერტაციის დაცვისას თქვენ, ალბათ, თავს დაიცავთო.

... ზოგჯერ ბეწვზე ჰკიდია ადამიანის სიცოცხლე, — დასძინა ბატონმა არნოლდმა და განაგრძო:

1930 წელს წყალტუბოში ისვენებდა ი. სტალინი. საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი შეკითხვია მას: რა აზრისა ბრძანდებით ნ. მარზე; აქ ჩვენთან,ერთი ახალგაზრდა ენათმეცნიერი აკრიტიკებს მას და ამის გამო ავიწროებენო (მთავრობის ჯერამდე კი ეს მიუტანია ბიძინა რამიშვილს, რასაც ბატონი არნოლდი მადლიერებით იხსენებდა).

ი. სტალინს მკაცრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოუხატავს ნ. მარის მიმართ და უთქვამს: „Марр дурак!“

რა თქმა უნდა, ასეთი გამოთქმა, თავისთავად, მკრეხელობაა დიდი მეცნიერის მიმართ, მაგრამ ჩანს, სტალინს გაგონილი ჰქონდა ნ. მარის ზოგ შრომაზე, ალბათ, შედარებით ბოლოდროინდელზე, როცა მის თეორიაში გაჩნდა პალეონტოლოგიური ოთხელემენტოვანი ანალიზი და მასთან შინაგანად დაკავშირებული სტადიური განვითარების თეორია. ამას გვიფიქრებინებს ის ფაქტი, რომ სტალინი ანალოგიურ გამოთქმებს სხვაგანაც ხმარობს ნ. მარის ზოგი თეორიული ხასიათის განზოგადებაზე...

არნოლდ ჩიქობავას არქივშია ერთი მოხსენების („აკად. ნ. მარის ენათა სტადიური კლასიფიკაცია“) დედანი,რომელსაც სტალინი გასცნობია 1949 წელს. ამ მოხსენების გვერდებზე ი. სტალინის ხელითაა მიწერილი შენიშვნები თუ მოწონების გამომხატველი სიტყვები. მაგალითად, იმ ადგილას, სადაც არნ. ჩიქობავა წერს ნ. მარის ენათა სტადიური განვითარების კლასიფიკაციაზე,სტალინს მარისეული კლასიფიკაციის სქემის გასწვრივ მიუწერია „Какая глупость“... ნ. მარის ციტირებისას ენათა გლოტოგონიური პროცესის თაობაზე კი მიწერილია „Чепуха“ და სხვ. ისიცაა აღსანიშნავი, რომ, როგორადაც არნ. ჩიქობავა იგონებს (წერილში „როდის იყო და როგორ“; დაბეჭდილია „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულში“, XII, 1985, გვ. 27), სტალინი ნ. მარს მარქსისტად საერთოდ არ თვლიდა: „მარი ბევრს გაჰყვიროდა მარქსიზმის შესახებ,მაგრამ მარქსისტი იგი არ იყო“.

მარი კაპიტულაციას მოითხოვსო...

—აკადემიკოსმა გიორგი ახვლედიანმა თავისი დაბადების 80 წლისთავზე გაიხსენა, ნ. მარს ვესტმრე ლენინგრადში და შეეთავაზე თბილისში ჩამოსვლა ლექციათა წასაკითხადო. დიდი ენათმეცნიერის პასუხი ასეთი ყოფილა:

თბილისში არ ჩამოვალ, იქ ახნითოლებია ჩასაფრებულიო. იგულისხმებოდა გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია...

ბატონი არნოლდი კი იგონებდა: ლენინგრადიდან ჩამოსულმა ბატონმა გიორგიმ ბრძანა, მარი კაპიტულაციას მოითხოვსო...

უფრო მოგვიანებით კი, 1933 წელს, რამდენიმე წლით პედაგოგიურ ინსტიტუტად გადაკეთებული, კვლავ აღდგა უნივერსიტეტი, ოღონდ ამის პარალელურად ქუთაისში გახსნეს პედაგოგიური ინსტიტუტი, რომლის სასწავლო ნაწილს გამგედ გ. ახვლედიანი დაენიშნავო. მას ბატონი არნოლდისათვის შეეთავაზებია: წადიდეთ და იქიდან ზეეუტიოთ ნ. მარსო...

ბატონმა არნოლდმა განაგრძო: არც ახლა ვარ დიპლომატი და მით უფრო მაშინო, ამიტომაც პირდაპირ უთქვამს ბ-ნ გიორგისათვის: ეგ იმასა ჰგავს,მენშევიკებმა ზომ თბილისი დატოვეს და ამბობდნენ, შორაპნიდან დაებრუნდებითო...

მართალია, ბატონი გიორგის ზემოთ მოყვანილი წინადადების პასუხად ბატონ [illegible] გორც ვნახეთ, ცივი უარი მოუსვენებია,მაგრამ ერთი წელი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენის კათედრის გამგედ მაინც უმუშავია (შემდეგ იგი აქ შეცვალა ვ. თოფურიამ), როგორც უნივერსიტეტის მუშაკს. ასე დადიოდნენ ქუთაისში ახალჩამოყალიბებული ინსტიტუტის გასაძლიერებლად სხვებიც, მაგალითად,კ. კეკელიძე,შ. ნუცუბიძე...

„აკადემიკოსები ზანტი ხალხია...“

თავისუფალი საენათმეცნიერო დისკუსია დაიწყო 1950წლის 9 მაისს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული არნ. ჩიქობავას წერილით. ამას კი წინ სხვა მოვლენები უსწრებდა. ამაზე მოგვითხრობს ბატონი არნოლდი ზემოთ ნახსენებ წერილში „როდის, იყო და როგორ“.

1949 წლის გაზაფხულზე არნ. ჩიქობავამ ჩვენი რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელის,კ. ჩარკვიანის წინადადებით დაწერა მოხსენება: „აკადემიკოს ნიკო მარის ენათა სტადიური განვითარება“. ჩანს, ინიციატივა სადირექტივო ორგანოებიდან იყო... მოვლენები ასე განვითარებულა:

1950 წლის აპრილის დასაწყისში არნ. ჩიქობავა გაუფრთხილებიათ,მოსკოვში ცენტრალური კომიტეტის მდივნებთან იქნება მსჯელობა ენათმეცნიერების საკითხებზე და მოემზადეთო... და, აი, 1950 წლის 10 აპრილს, საღამოს, კ. ჩარკვიანი,რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ორი მინისტრი და არნოლდ ჩიქობავა სტალინის აგარაკზე მიუწვეთ.

გამოქვეყნებული მოგონების მიხედვით, დღის წესრიგში მდგარა ორი საკითხი: 1. ი. სტალინის შენიშვნები „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შესახებ (მაშინ გამოსული იყო მხოლოდ პირველი ტომი), 2. ნ. მარის „ახალი მოძღვრების“ შესახებ. ბ-ნ არნოლდისაც მონაწილეობის მიხედვით კი თავდაპირველად დღის წესრიგში იდგა მესამე საკითხიც — პურის თაობაზე.

სტალინს უთქვამს: პურის საკითხი ჩვენი ყოველდღიური საზრუნავია,დღეს კი მოვხედოთ მხოლოდ პირველ ორ საკითხსო. მართლაც, მხოლოდ ენის საკითხებზე უმსჯელიათ.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ პირველი ტომი სტალინისათვის ძვირფას გარეკანში ჩასმული მიურთმევიათ,მობმარეისათვის კი ჩვეულებრივი

დასასრული მე-4 გვ.

მოგონებათა ფრაგმენტები

მესამე გვერდიდან

გამოცემა ჰქონია. უკითხავს, ასეა გამოცემული ყველაო?

სტალინს უკითხავს ბატონი არნოლდისთვის: რას ნიშნავს სიტყვასთან მიწერილი „ტექ“?

ასეთი სიტყვა ტექნიკური ტერმინიაო, — განუმარტავთ.

იქვე სტალინს შეუნიშნავს: აი, ასეთი სიტყვები, როგორიცა,მაგალითად, ბლუზა,ფრანგული სიტყვაა, მაგრამ ქართულში რუსულის გზით უნდა იყოს შესული,თუ არის ეს ლექსიკონში აღნიშნული.

ბ-ნ არნოლდს ამაზე მიუგია: როგორ არა, ასეთი სიტყვებს ლექსიკონში მიწერილი აქვთ: „რუს. მეშ.“

სტალინს იქვე შეუმოწმებია და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნევია.

სტალინს უთქვამს: „Академики народ ленивый, а Н.Я. Марр был энергичным...“ და ასე ოდენ ხელთ ენათმეცნიერებაში მონოპოლიაო.

„ყველაზე დიდი მარქსისტი ი.ქარცივაძე იყო...“

... ბატონი არნოლდის მოგონებიდან:

— სტალინი თითქმის შუღამ რუსულად ლაპარაკობდა. ერთ დღეს, ჩვენებისამებრ, პოლიტბიუროს სხდომის შემდეგ წასულან საკაბშიოდ (კახეთში ღამის 11 საათამდე გრძელდებოდა). ნინა, არნ. ნიჭობაც მიუწვეიათ; იქ, სხვებთან ერთად, ბერიაც ყოფილა.

ყველაზე დიდი მარქსისტი ი. ქარცივაძე იყო; რაღაცასთან დაკავშირებით უთქვამს სტალინს (ბატონმა არნოლდმა განმიმარტა,ეს ის ქარცივაძეა, შენშვილების დროს რომ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო); თან დაურთავს: — რა დაემართა?

ბერიას უპასუხია, მას გადაჭრები ჰქონდა და ჩვენ გაკუსურდითო.

სტალინს, თითქოს, ეს არ გაეგონოს, გაუმეორებია, ის ნინებული მარქსისტი და თანაც კარგი ამხანაგი იყო.

შემდეგ სტალინს უკითხავს, ახლა უკვე ქართულად,ალბათ,არნოლდ ნიჭობაზე მისამართით: დარჩა ვინმე?

ბატონ არნოლდს მოუგია: შვილები— ერთი მათემატიკოსია, თუ არ ვცდები,მეორე კი...

ბატონმა არნოლდმა დამატა: პასუხისას ყოყმანობდი, ვაი თუ შვილებმაც მამის ბედი გაიზიარონ, მაგრამ უპასუხოდ სტალინის კითხვის დატოვება, ბუნებრივია, არ ეკუთვნოდა.

ნინ,სტალინის ის შეკითხვა თუ დაინტერესება ი. ქარცივაძის მამართ ჩვენებრივი ადამიანური ნოსტალგია იყო ახალგაზრდულ წლებზე, რაც ზოგჯერ ძლიერთა ამა ქვეყნისათაც სწვეთათ.

„საბჭოთა ენათმეცნიერება — ბოლოდან პირველზე...“

ერთხელ აკადემიკოს ვ. ვინოგრადოვს, რომელიც ერთდროულად საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის კოლეგიუმსაც ხელმძღვანელობდა და მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილებასაც განაგებდა, არნ. ნიჭობაზეთან შეუნავლია, ალარ შემიძლია ირიგეგან მეშობა, იქნებ მორნეთ, სად დაკრეფ.

ბატონ არნოლდს უთქვამს: თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ინსტიტუტს ვირეკავდი.

წარმოიდგინეთ როგორი იქნებოდა ბატონი არნოლდის გოგუბარიცა ვ. ვინოგრადოვის შეკითხვის მოისმენდა:

— „А машина?“ მანანა აკადემიკოს-მდივნისაო.

კვლევითს ინსტიტუტს სასამსახურო მანქანა არ ჰქონია.

აკადემიკოსი ვინოგრადოვი ჯერ ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან წასულა, ხოლო შემდეგ გათავისუფლებულ აკადემიკოს-მდივნობიდანაც. ოვი ერთხანს ახალგაზრდა რუსული ენის ინსტიტუტში გადასულა სამუშაოდ, მაგრამ იქ ამხელრებამ მოიმარეებიცა და მოწიანალმდეგენიც და იძულებული გამხდარა ეშუშაკ ლენინგრადში, პუშკინის სახლში უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

ვინოგრადოვის შემდეგ აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შესრულებად დანიშნეთ ცნობილი ლიტერატურათმცოდნე ბ. ხრაპჩენკო.

ერთხელ,ფინეთ, გასაბჭოების 50 წლისთავზე, ბრძანა ბატონმა არნოლდმა,აკადემიკოსი ვ. ვინოგრადოვი მოხსენებას კითხულობდა საბჭოთა კავშირში ენათმეცნიერების განვითარების შესახებ. ჰქონია ასეთი ფრაზაც: ჩვენ, საბჭოთა ენათმეცნიერები მსოფლიოში პირველნი ვართო...

აქ თავი ვერ შეიკავეო,— ბრძანა ბატონმა არნოლდმა, და ბ. ხრაპჩენკოს (რომელიც, ნინ, მის გვერდით ჯდა), ჩუმადაა-კებოლდან პირველზე.

აკადემიკოს-მდივნს ამაზე უცინია.

ბენაფლ ბურჯულაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურული ეტიკეტისათვის

ცნება „ეტიკეტის“ ტრადიციული განმარტება, ცხადია, ხელშესახებს ვერაფერს გვაწვდის „ლიტერატურული ეტიკეტის“ რაობისათვის,მისი არსის სათანადო შეცნობისათვის, მით უმეტეს,რომელიმე კონკრეტული თხზულებისას,თანაც ისეთისა, როგორიც რუსთველის პოემაა, რომელშიც ლიტერატურული ნორმების, წესების თავისებურებათაგან,ეპოქის მაჯისცემის კვალობაზე, უცილობელია მათ ნიშანთვისებათა წერილობითი გამოვლენა,ხიტყვა-ფრაზების თანხვედრა-მსგავსების მოძიება და ა.შ. ჩვენს ლიტერატორ წინაპართაგან დადგენილი „წესი თხრობისაი“, ლიტერატურული წესების სისტემა შუა საუკუნეებში გაცილებით უფრო მყარი იყო და „სავალდებულო“, ვიდრე ახალ დროში: „ენობრივი ეთიკით შეპირობებული ფორმები უძველესი პერიოდიდან იჩენს თავს ქართულში“ (ბ. ჯორბენაძე); „... ამ დროს ლიტერატურულ ცხოვრებაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა ლიტერატურული ეტიკეტი, რომელიც მიღებული იყო მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ რეგიონში შემავალი ყველა ხალხისათვის, ამიტომაც ამ ხალხების პოეზია იყენებს არა მისი სამეტყველო ენისათვის ბუნებრივ საზომს, არამედ ეტიკეტით მოწონებულს და მიღებულს“ (ვ. ჯაველიძე).

„ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურულ ეტიკეტზე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერხნობით მხოლოდ ორიოდე ნაშრომი მოგვეძიება (ბ. ჯორბენაძე, ბ.კილანავა, ი. კენჭოშვილი), რომელთა ჩვენებით დასტურდება, რომ რუსთველი, როგორც მოსალოდნელი იყო, „არ ღალატობს ლიტერატურულ ეტიკეტს და მის პოემაში დიალოგებს, ჰერსონაჟთა რეპლიკებს, დაკანონებული ნორმების შესაბამისად, მაშინაც ახლავს ავტორისეული რემარკები („ფმამან უთხრა“, „ქალმან ჰკადრა“, „ავთანდილ გასცა პასუხი“ და სხვ.), როდესაც ეს უკანასკნელნი არაა გამოწვეული ლოგიკური აუცილებლობით და კონტექსტით (ი. კენჭოშვილი).

თეორიულ-ლიტერატურულ, ფრაზეოლოგიურ ნორმათა, პრინციპთა მიღმა „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურული ეტიკეტის რაობის სრული წარმოდგენისათვის ცალკე მსჯელობის საგნად ისახება შემდეგი მომენტები: ა) მხოფლმხედველობრივი, ბ) ალუზიები, გ) ჩუქება-ბოძება-სიუხვე, დ) პოეტიკა, ე) ენობრივ-ტექსტობრივი, ვ) ესთეტიკური კანონზომიერებანი ეთიკური მომენტის შესატყვისად, ზ) ფიქციები, თ) ბიბლია და „ვეფხისტყაოსანი“, ი) სიუჟეტის ორიგინალობა, კ) პოემის ფილოსოფიური კონცეფცია, ლ) რუსთველისეული ადამიანის არსი (სრულყოფილობა, ემპირიულობა), მ) პოემის საერთო კონცეფცია...

აი, საკითხთა თუ პრობლემათა მიახლოებითი ნუსხა,რის გათვალისწინე-

ბით, შეძლებისდაგვარად,გვესახება პოემის ლიტერატურული ეტიკეტის თუნდაც არასრული რაობის წარმოჩენა...

* * *

XII–XIII სს. საქართველო...

ევრაზიის კულტურულ-გეოგრაფიულ შესაყართან მყოფი რეალობა...

ცენტრალიზებული მონარქიზმის იდეალური ხანა...

პოლიტიკურ-კულტურული აღორძინების მესვეურთა (დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე) მესიანისტობა, ჰიპოსტასობა...

ეთიკურ-მორალური იდეალების საქვეყნოდ გაცხადება და გამოვლინება ცხოვრების თითქმის ნებისმიერ სფეროში... ყველაფერი ეს – საზოგადოებრივი ცხოვრება თუ სულიერი – რიგსა და წესზეა დაფუძნებული, იქმნება არა ერთბაშად,არამედ ერის ხანგრძლივი,რუდუნებითი, გეგმაზომიერი ქმედებით, რაც, საბოლოოდ,გარკვეულ, თვალსაჩინო ნორმათა სისტემად იქცევა, ყალიბდება წესად, საკალდებულოდ იხახება. ცხადია,ყველაფერ ამას წინ უძღვის არაერთსაუკუნოვანი ტრადიციები ერის ცხოვრებისა ყოველგვარ სფეროში. საუსებით სწორად და ისტორიულად დახასიათებულად მოჩანს მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსანი"დაწერილია ხანგრძლივი ლიტერატურული ტრადიციების მქონე ქართულ ენაზე, რომლის მხატვრულ საშუალებათა სრულყოფა მანამდეც შესამჩნევადაა საგრძნობი, თუნდაც ბიბლიური წიგნების თარგმანებსა, საგალობლებსა,მეხოტბეებსა და „ვისრამიანში", რაც რუსთველმა მისი მხატვრული გამოსახვის ხილამაზეთა ყოველი შესაძლებლობა ისე ბრწყინვალედ გამოიყენა,როგორც არავინ" (გ. იმედაშვილი).

რუსთველის სენტენცია-აფორიზმებს, მის პერსონაჟთა მეტყველებას ხატოვნად, სულიერად თანაზიარ, თითქმის გათავისებულ, ოღონდ მხატვრულ აქსესუარში შენიღბულ დომინანტად გასდევს ბიბლიური მომენტები, რაიც აგრეთვე ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა,ვფიქრობთ,ლიტერატურული ეტიკეტით შეპირობებული, რადგანაც „შუა საუკუნეების პატრონიმური, ანუ ფეოდალური საზოგადოებისათვის ბიბლია იყო მისი სულიერი საკვები, მისი რელიგიური შეგნებისა და გრძნობის დამაკმაყოფილებელი, ხოლო ვეფხისტყაოსანი იმავე საზოგადოების ფილოსოფიურ-რელიგიური,პოლიტიკური და სოციალური შეგნებისა და სიყვარულის გამომხატველი, ზოგადად: მისი კულტურის ღირებულებათა ამსახველი" (ვიქ. ნოზაძე).

„ვეფხისტყაოსანი" ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში ლიტერატურული ფორმისა და მხატვრული ხორცშესხმის თვალსაზრისით, მსოფლმხედველობრივი პრობლემებით,ეპიკური ჟანრის ფორმირების თვალთახედვითაც (მ. ბოურა, გ. იმედაშვილი, ა. გაწერელია, ე. ხინთიბიძე) ამთავრებს ქართული რაინდული რომანის ფორმის ძიებას მრავალპლანიანი სიუჟეტური ქმნილების კვალობაზე; თვალშისაცემი ხდება ეპიზოდების ორგანული შერწყმა მაგისტრალურ თხრობასა თუ დომინანტურ პრობლემასთან, რაც კანონიზებული ლიტერატურული სქემითაა წარმოდგენილი...

ოლეგ გოლიაკე

რეცენზია

ახალი საჩქმელი

დაგვიანებული შთაბეჭდილება ეთერ თათარაიძის მოთხრობათა გამო

ეთერ თათარაიძე ქართულ პოეზიაში უხმაუროდ არ შემოსულა. მისი ლექსების შესახებ აზრი არაერთს გამოუთქვამს: ზოგი დიალექტიზმებით გადატვირთულად თვლიდა მას და ამიტომ არ მოსწონდა, თუმცა, მის პოეტურ მომბიბველობას ვერ უარყოფდა. ზოგს ძალიანაც მოსწონდა და პოეზიის განვითარების ახალ გზადაც სახავდა. ეს განწყობა შეინიშნებოდა ლიტერატურულ წრეებში, პრესასა თუ ტელევიზიაში (და ბოლოს, სტუდენტურ წრეშიც, რომლის ერთი წარმომადგენელიც იყო მაშინ თავად ეთერ თათარაიძე). პირადად მე მუდამ მბიბლავდა მისი პოეზიის განსხვავებული რიტმი, მომწონდა ის ადგილებიც კი, რომლებიც შინაარსობრივად ცოტა გაუგებარი იყო, მაგრამ რაღაც დიდსა და იდუმალს იტევდა. განსხვავებულობა და ორიგინალურობა ხომ პოეზიაში ძალზე მნიშვნელოვანია. ამიტომაც მე იმთავითვე ეთერ თათარაიძის თავანისმცემელთა შორის ვიყავი.

გავიდა დრო, პირველ წიგნს მოჰყვა მეორე, რომელშიც თავისსაევე მიგნებულ გზას აგრძელებდა პოეტი. მეორე წიგნს, თითქოს, უფრო ნაკლები ხმაურით შეხვდა საზოგადოება, ეტყობა თათარაიძის სტილს შეეგუვნენ ისინიც, ვინც მანამდე სკეპტიკურად უყურებდა მის ნაღვაწს. მიხვდნენ,რომ თათარაიძეს მხოლოდ ასე წერა ძალუძს და მხოლოდ ასეთად უნდა მიიღო. ენებთანელვა მინყნარდა: ეთერ თათარაიძემ თავისი მოკრძალებული ადგილი დაიმკვიდრა თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

და გამოვიდა მესამე წიგნი, უფრო სწორად კრებული, რომელშიც ეთერ თათარაიძის მოთხრობები იყო გამოქვეყნებული.

არ ვიცი, იმ კანტიკუნტად გამოსულ ჟურნალებში თუ აურაცხელ გაზეთთა შორის,რომელთა თვალის მიდევნება თვით ყველაზე ერთგულ მკითხველ-მოყვარულსაც კი გაუჭირდება,გამოეხმაურა თუ არა ამ პატარა წიგნს რომელიმე კრიტიკოსი ან კეთილის მოსურნე, მაგრამ ერთი რამ კი, ვფიქრობთ, უდაოა: ეს წიგნი აღნიშვნის ღირსი ნამდვილად იყო.

წიგნი, ფაქტობრივად,კრებულია. იგი ახალგაზრდული გამომცემლობა „ივერიას" მიერ გამოცემული პირველი წიგნია. მასში სამი ავტორია წარმოდგენილი: ზაზა ენუქიძე, ეთერ თათარაიძე და უდროოდ გარდაცვლილი ირაკლი (შმაგი) დოლიძე.

იმთავითვე უნდა აღნიშნოთ, რომ ეს ჩვენეული შთაბეჭდილება შეიძლება ერთგვარად დაგვიანებულიც კი გამოჩნდეს, მით უფრო ნამღვლეკავად ბევრი ახლად გამოსული წიგნის ფონზე (კრებული 1990 წელს გამოვიდა), მაგრამ, ილიას თქმისა არ იყოს, ჩვენ მაინც „ამ სიტყვების სიმართლით გავიმხნევებთ თავს": სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს"... რამდენიმე წლის მანძილზე აზრის გამოთქმის სურვილს ყოველდღიური პრობლემები ფარავდა,მოუცლელობამაც თავისი ქნა, მაგრამ ფიქრთან მარტო დარჩენილს არა და არ მასვენებდა მოთხრობების გმირთა შთამბეჭდავი და წარუშლელი სახეები,არ შეიძლება ეს მოთხრობები გულმშვიდად წაიკითხო,ყოველი მათგანი უცილობლად დაგაფიქრებს რაღაც დიდსა და უჩვეულოზე. საზოგადოებას ამ მოთხრობებით სრულიად სხვა შემოქმედი წარუდგა.

რამდენიმე სიტყვა მოთხ-

დასასრული №-10 გვ.

გენიოსები და კომენტატორები

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მახვეულთ: „ლამაზმანებ-ი (ლამაზმანებისა) საუბ. იხმარება მხოლოდ მრ-ში ლამაზი ქალები. სადა ხართ, ლამაზმანებო, მოდით, დასთვრეთ ბუნებით! (ი. გრიშ.). ერთ ტალაღერს ქვეშ თავი მოეყარაო სტუმრებს, რაინდებს, ხეირისთავოდან ჩამოსულ ლამაზმანებს (კ. გამს.). გამოდით, ლამაზმანებო, ქალები თეალებქეფენა, ეს მეხის ხმა კი არ არის, ზეცამ რომ დაიგუგუნა! (ი. ნონეშ.)“. (ტ. IV.თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1955, გვ. 1470).

ლიტერატორია მიერ სიტყვა „ლამაზმანები“. პოეტური სიტყვაკაზმულობის ნიმუშად არის მიჩნეული და მისი ავტორობა საქართველოს სახალხო პოეტსაკადემიკოს ოსეფ გრიშაშვილს (1889—1965) მიეწერება.

1930 წელს ოსეფ გრიშაშვილმა გამოსცა ახალი წიგნი „ეჭეხი ლექსი“. მასში დაბეჭდა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ციტირებული, 1929 წელს დაწერილი ლექსი, სათაურით — „პუსიადი“, რომელიც თანამედროვე მკითხველებისათვის უფრო გავანგელი სახელწოდებით — „აპრილი თბილისში“ არის ცნობილი.

ი. გრიშაშვილმა სიტყვა „ლამაზმანები“ შემდეგ სხვა ლექსშიც გამოიყენა, ამჯერად უკვე სათაურად.

„საინტერესო მუშაობა ჩაუტარებია ი. გრიშაშვილს „ლამაზმანების“ დასათაურებაზე. ლექსი ამოუწერია ჟურნალ „ელვადან“ („ელვა“ №3, 1924, თბ. რედაქტორი ი. გრიშაშვილი. მ.ქ.) და ჩაუკრავს რეფენში (№10, გვ. 42), „ელვაში“ ავტორმა ეს ლექსი დაბეჭდა სათაურით „ჩემს ცოლებს“, შემდეგ, როგორც ჩანს, არ მოსწონებია ეს სათაური და ამ დაბეჭდილშივე „გაუმჯობესებია“ მუშაობა სათაურის შერჩევისათვის. „ცოლებს“ გადუხაზავს და მის ნაცვლად „ლამაზმანებს“ დაუწერია („ჩემს ლამაზმანებს“). შემდეგ ესეც გადუხაზავს და დაუწერია „ჩემს ნესტანებს“, მის ზემოთ კი „ჩემს მეგობარ ქალებს“.სამოლოდ არც ეს დაუტოვებია და ისევ „ლამაზმანებს“ დაუწერია, „ჩემს“ სიტყვა კი ჩამოუცილებია. თუმცა გვერდით ესახელა პოეტის წარწერა: „დარჩეს ჩემს ცოლებს“. როგორც ჩანს, ავტორის ხელიდან ყოფილა მაშინ „ჩემს ცოლებს“ სათაური დაეტოვებინა, მაგრამ შემდგომ გამოცემებში ლექსის უკანასკნელი სახელწოდება აღარ გვხვდება და „ყველან „ლამაზმანებს“ სათაურით დაბეჭდა“ (ბ. არველაძე, რ. კუსრაშვილი,ოსეფ გრიშაშვილის პოეტური საფეხური, თბ. საბჭოთა საქართველო, 1976, გვ. 81-82).

ი. გრიშაშვილი ამ სიტყვის შეჭნას თავადაც საკუთარ დამახასიათებად მიიჩნევდა და თავისი კოლეგების ნაწარმოებების კითხვისას ამისი ხასიათი როგორც პირდაპირი, ისევე გადატანითი მნიშვნელობით არ ავიწყდებოდა.

1936 წელს გამოქვეყნდა „ფეფერაციაში“ გამოსცა კონსტანტინე გამსახურდიას საშკარიანი რომანის (ტრილოგიის) „მოვარის მოტაცების“ შვორე კარი, რომელშიც ავტორს სიტყვა ლამაზმანები აქვს გამოყენებული.

„პროფანაციიდან ჩამოსულ ქალწულს ეურ კიდევ არ ეცვა ისეთის გემოვნებით, ტფილისელ ლამაზმანებს რომ გამორჩოდა“ (გვ. 152).

ი. გრიშაშვილს ამ გამოცემის ფორზაცზე სიტყვა და გვერდის მითითებით შეუნიშავს „ჩემგან აუღია“ (პოეტ-აკადემიკოს ი.გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი ტ. 1. ქართული წიგნები თბ. მეცნიერება. 1977, გვ. 54);

ქეგლ-ში ციტირებულია ადგილი კ. გამსახურდიას რომანიდან „დიდოსტატის მარჯანი“ (თავი XXXVIII),რომელიც 1939 წელს დაიწერა (გამოიცა 1943 წელს).

ამ სიტყვამ ლიტერატურათმცოდნეობა-

ლამაზმანი

ში მალე შეაღწია. იაკობ (ეკა) ბალახაშვილის წიგნის „ლეონიტოლის ქართული ნაკნობები“ (თბ. 1941) ავტორის მიერ პოეტისათვის მიძღვნილი ეგზემპლარის 30-ე გვერდზე ი. გრიშაშვილის მიერ „ჩაზგამეულია: „ლამაზმანებისა“ და მიწერილია. „ჩემი“ (პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი ტ.I, ნაწ. II. ქართული წიგნები, თბ., მეცნიერება, 1979, გვ. 135) ;

ი. გრიშაშვილი ერთ-ერთ ასეთივე მინაწერში ამ სიტყვის წარმოშობის წყაროსაც გვაცნობს და მექანიზმსაც. პოეტის ბიბლიოთეკაში დაცულ „ეუფონიტეოსის“ 1941 წლის სახელგამოცემულ გამოცემის მეცხრე სტროფში ჩაზგამეულია: „ლამაზმა ნენა“ (გვ. 6) და მიწერილია სქოლიოში: „ეს ორი სიტყვა მე შევავრეთ ჩემს ლექსში — ი. გრ.“ (პოეტ-აკადემიკოს ი.გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი ტ. 1. ქართული წიგნები. თბ. „მეცნიერება“, 1977, გვ. 213).

როგორც გაირკვა, ქეგლ-ის ავტორია — „ლამაზმანებს“ (წმინდა ლიტერატურული მაგალითებით ილუსტრირებისდა მიუხედავად) ოდენ სასაუბრო ენის კუთვნილებად რომ სახავდა, ისევითვე უსაუბნელი იყო. ახალი ენახილი რამდენად მართებულად განმარტა ეს სიტყვა, როგორც მხოლოდ მრავლობითი რიცხვის მქონე.

თანამედროვე ქართული მწერლობა თავისუფლად სარგებლობს ამ სიტყვის როგორც მრავლობითი, ასევე მხოლობითი რიცხვის ფორმებით ორიგინალურ თხზულებებსა თუ თარგმანებში.

„მისი საკერეტი მიწყე ეურცხლის მკერდის მქონე ლამაზმანი იყო, — მისი მზერა არაფერს ხედავდა, გარდა ლამაზმანებისა. იყო ფრო და ადგილი ამისი თუ არა“.

(შაგალი თოდეა. ნამი ეისაპანის „ეისა და რამანი“. III თარგმანი „ჭეთაილის უნივერსიტეტის მოამბე“ №1, 1994, გვ. 46).

კომენტარებში მოიარგნელი სიტყვის წარმოშობასაც ეხება: ლამაზმანი, მეორე ხელოვნურად და გარდამავალი ფორმა ... ნილი სიტყვაა, იგი ეუფონიტეოსის ცუდად ამოკითხვიდან უნდა მოდითდეს („ლალამ და ლამაზმან ნენი“//ლამაზმანები). მაგრამ ქართულში უკვე დამკვიდრდა რუსული „ერასაიცას“ ადექვატად“ (იქვე.გვ. 64-65).

ეაცა რომ იქნას, „ლამაზმანი“ უფრო ბუნებრივადაც კი ჟღერს, ვიდრე „ლამაზი (ქალი), ტურფა, . შშვენიერი, მზეთუნახავი“,რომლებსაც „ერასაიცას“ ქართულ შესატყვისებად გვთავაზობს რუსულ-ქართული ლექსიკონი (თბ. საბჭოთა საქართველო, 1983, გვ. 272), თუმცა დაეეჭვნეფენ ამ სიტყვის წარმოშობის საკითხს.

საფუძველი არ გვაქვს, ეჭვი შევიტანოთ ი. გრიშაშვილის გულწრფელობაში, რომელიც სიტყვა „ლამაზმანების“ ავტორობაზე აცხადებს პრეტენზიას და „ეუფონიტეოსის“ ასახელებს თავისი შთაგონების წყაროდ, მაგრამ...

პოეტ დიმიტრი ბაგრატიონს (1746-1828) აქვს ლექსი „ნანა“, რომელშიც არის შემდეგი სტრიქონები:

ვეტყვი ახოს ნანასა, მისსა შესაგებასა,
ტკბილად რასმე ძღილსა ადრე მოსაცვანასა.

. . . . . .

ნენა ლამაზმანასა, ხუთი ფაქიზანასა,
ღაწვნი მობალახეთან. ან შე ტკბილეცანასა...

ლექსი, რომლის ავტოგრაფი ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (№3723), არაერთხელ გამოქვეყნებული და ფართო საზოგადოებისათვისაც კარგადა ცნობილი.

თუ აქ კალმის უნებლიე შეცდომასთან არ გვაქვს საქმე (ლამაზმანასა-ლამაზმანასას ნაცვლად), მაშინ რამდენიმე დასკვნის გაკეთება მოგვიწევს:

1) სიტყვა „ლამაზმანებს“ უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს,ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა და ის მინიმუმ ერთი საუკუნით ხნიერია გრიშაშვილის ლექსზე;

2) სიტყვის წარმოშობაც არც ისეთი ცხადია, როგორც თავიდან წარმოგვედგინა.ჩნელია სრული უეჭველობით იქნა იგი მართალაც „ეუფონიტეოსის“ წყალობით დამკვიდრდა ქართულში, თუ შეიძლება უფრო სანდო ეტიმოლოგიაც აღმოჩნდეს რომელიმე აღმოსავლურ ენაში;

3) სიტყვას ამავითვე აქვნდა როგორც მრავლობითი, ასევე მხოლობითიც — „ლამაზმანა“ ხომ სწორედ მხოლობითის ფორმა — „ლამაზმან-ი“ გულისხმობს ამოსავლად (არის ამ უკანასკნელის მაკვლევი ბრუნვის ფორმა) შდრ. ფაქიზ-ფაქიზანასა და სხვ.

ასე რომ, ქეგლ-ის ახალ გამოცემასა თუ სხვა ლექსიკონებში „ლამაზმანი“ მხოლობითის ფორმით უნდა შეეფეს და ცხადია, ყოველგვარი ზედმეტი და არაზუსტი განმარტების („საუბ. იხმარება მხოლოდ მრ-ში“) გარეშე.

ამიზეიდ ჟურდიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბიტურიენტის ფურცელი

ქართული ენა

4. მონათესავე ენები, ქართული ენის ადგილი მონათესავე ენათა ოჯახებს შორის.

ცნება მონათესავე ენები გულისხმობს ენათა დახასიათებას წარმოშობის მიხედვით. მონათესავე ენებად იწოდებიან ისეთი ენები, რომლებიც ერთი ენიდან — საერთო ენიდან, ანუ ფუძე-ენიდან — მომდინარეობენ. მონათესავე ენები საერთო ფუძე-ენის ყოფილი დიალექტებია, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში, სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედებით, დაშორდნენ ერთმანეთს და დამოუკიდებელ ენებად ჩამოყალიბდნენ. მათ პირობითად აერთიანებენ ოჯახებად. ივარაუდება, რომ ოჯახში შემავალ ენებს (როგორი განსხვავებულნიც არ უნდა ჩანდნენ ისინი დღევანდელი ვითარების მიხედვით) საერთო წარმომავლობა აქვთ. მონათესავე ენებია, მაგალითად, იტალიური, ფრანგული, ესპანური, პორტუგალიური, რომელთა ფუძე-ენად ხალხური ლათინური ითვლება.

როგორ ადგენენ ენათა ნათესაობას?

უნდა გვახსოვდეს, რომ ნათესაობის დადგენისას არ არის სანდო დასაყრდენი ამ ენებში არც ერთი და იმავე სიტყვების არსებობა (**კაპიტალიზმი, გეომეტრია, მორალი** და სხვა საერთაშორისო-ინტერნაციონალური — ლექსიკური ერთეულები უამრავ ენაში გვხვდება), არც ბგერითი შედგენილობის ერთგვაროობა, ან ერთი და იგივე ყალიბი ენათა მორფოლოგიასა თუ ფრაზეოლოგიაში (როგორც მგრული, თუთაშხა, ისე „ორშაბათი" და გერმანული **Montag** „მთვარის დღეს" ნიშნავს)... მთავარია, კანონზომიერი ფონეტიკური (ბგერითი) შესატყვისობების არსებობა ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვათა ძირებში.

შეუდაროთ, მაგალითად, ერთმანეთს რიცხვითი სახელი ორი რამდენიმე ენაში, რომელთა ნათესაობა დადგენილია: ბერძნული **δυο**, ლათინური **duo**, ძველი ინდური **dvā**, რუსული **два**... ასეთი მსგავსება შემთხვევითი არ შეიძლება იყოს. მას კანონზომიერი ხასიათი აქვს.

ბგერათა შესატყვისობის ნიმუშები შეიძლებოდა მოგვეყვანა ქართულიდან და ზანურიდან (მეგრულ-ჭანურიდან), რომელთა საერთო წარმომავლობა უდავოა: ქართულ **ა**-ს ზანურში **ო** შეესატყვისება; ქართულ **ცა**-ს, ზანური **ჩ**; ქართულ **ძ**-ს ზანური **ჯ**...

მაგალითად: **კაცი - კოჩი, ძაღლი - ჯოღორი; თაფლი - თოფური...**

ამ მეთოდს, რომლითაც ენათა ნათესაობა დგინდება, **ისტორიულ-შედარებითი მეთოდი** ჰქვია, ხოლო ნათესაობის მიხედვით, ე.ი. წარმოშობის მიხედვით ენათა დაჯგუფებას **გენეალოგიურ კლასიფიკაციას** უწოდებენ. ენათა ამგვარი დაჯგუფების შედეგად გამოყოფილია **ინდო-ევროპული** ენების ოჯახი, **იბერიულ-კავკასიური** ენების ოჯახი, **სემიტურ** ენათა ოჯახი, **თურქულ-ალთაიურ** ენათა ოჯახი, **უნგრულ-ფინური** ენების ოჯახი, **ჩინურ-ტიბეტურ** ენათა ოჯახი და სხვ.

დიდ ოჯახებში გამოყოფენ უფრო მცირე დაჯგუფებებს, რომელთაც **შტოებს** უწოდებენ. მაგალითად, ინდო-ევროპულ ენათა ოჯახში შედის **ინდური** ენების შტო, **ირანული** ენების შტო (სპარსული, ტაჯიკური, ქურთული...), **სლავური** ენების შტო (რუსული, უკრაინული, ბულგარული...), **გერმანული** ენების შტო (გერმანული, ინგლისური, დანიური, შვედური, იდიში ანუ ახალი ებრაული...), **ბალტიური** ენების შტო და ა.შ. ბერძნული, სომხური და ოსური ენებიც ინდოევროპულია. ძველი ებრაული, სირიული, არაბული სემიტური ოჯახის ენებია, თურქული, თათრული, აზერბაიჯანული — თურქულ-ალთაიური ოჯახისა...

ბუნებრივია ვიკითხოთ: რომელ ოჯახს განეკუთვნება ქართული ენა?

ქრონოლოგიურად ყველაზე ძველია ქართულის ინდოევროპულობის თეორია (ამ თეორიას ზოგი მეცნიერი დღესაც იზიარებს); იყო ცდები ქართულის დაკავშირებისა სხვა ოჯახებთანაც (სემიტურთან, თურქულ-ალთაიურთან). ამჟამად მიჩნეულია, რომ ქართული ენა ეკუთვნის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს. ამ ოჯახში იგი ერთადერთი უძველესი სამწერლობო ენაა.

იბერიულ-კავკასიური ენებია: ქართული; მეგრულ-ჭანური, სვანური; აფხაზური, ჩერქეზული (ანუ ადიღეური), უბიხური; წოვა-თუშური, ჩაჩნური, ინგუშური, დაღესტნური ენები: ხუნძური, ანდიური, დიდოური, ლაკური, დარგუული, ლეზგიური, უდიური, თაბასარანული. (დაღესტანში 20-ზე მეტი ენაა).

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის წევრად თვლიან ბასკურ ენასაც; ბასკები ესპანეთსა და საფრანგეთში ცხოვრობენ.

ვარაუდობენ რომ იბერიულ-კავკასიური ენები (ისევე, როგორც ბასკური ენა დასავლეთში) ნარჩენია ოდესღაც მრავალრიცხოვანი ენათა ოჯახისა, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიაში, წინა აზიასა და ხმელთაშუა ზღვის აუზში. ამ ენათა უმრავლესობა მკვდარია (აღარ გამოიყენება ურთიერთობის საშუალებად: ხეთური, ურარტული, პელაზგური, ეტრუსკული...), მაგრამ მათ ჩაუყარეს საფუძველი ძველ ბერძნულსა და რომაულ ცივილიზაციას; წინა აზიის ხეთურ-იბერიული ხალხები იყვნენ ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციის გადამცემნი დასავლეთისათვის (ა. ჩიქობავა).

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ბ.“ №2(7))

5. ქართველური ენები

ქართველური ენებია: ქართული, მეგრულ-ჭანური (როგორსაც ზანურს ან კოლხურსაც უწოდებენ) და სვანური. თითოეული მათგანი ენაა (საკუთარი გრამატიკული წყობითა და ძირითადი ლექსიკური ფონდით) და აქვს თავ-თავისი დიალექტები.

ქართული ენის დიალექტებია: ქართლური, კახური, იმერული, გურული, რაჭული, ლეჩხუმური, აჭარული, მესხურ-ჯავახური, ფშაური, ხევსურული, მთიულურ-გუდამაყრული, მოხეური, თუშური, ინგილოური (დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე), ფერეიდნული (დღევანდელი ირანის ტერიტორიაზე), იმერხეული (დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე). ზანურის (მეგრულ-ჭანურის) დიალექტებია მეგრული და ჭანური (ანუ ლაზური).

„ჭანების მიწა-წყალი 1918 წლიდან მთლიანად თურქეთის ფარგლებში მოექცა (სოფ. სარფის ნაწილი შემოგვრჩა, ბათომის რაიონში). 1918 წლამდე კი სარფის გარდა მაკრიალი და ლიმანი (შავი ზღვის სანაპიროზე), რიგი ჭანური სოფელიც (სანაპიროს დაშორებით ჭოროხის აუზში) ბათომის ოლქში შემოდიოდა" (არნ. ჩიქობავა).

სვანურში გამოყოფენ ზემოსვანურსა და ქვემოსვანურ დიალექტებს. ზემოსვანურია ბალსზემოური და ბალსქვემოური დიალექტები (ბალი მთას ჰქვია ზემო სვანეთში), ხოლო ქვემოსვანურია ლაშხური და ლენტეხური.

ქართული ენა არის ქართველ ტომთა გამაერთიანებელი საერთო-სახალხო ენა. ის ყოველთვის იყო და არის მწერლობის, მეცნიერების, სახელმწიფო მართვა-გამგეობის, სამოქალაქო ურთიერთობისა და ეკლესიის ერთადერთი ენა. ქართული ენა ქართველი ერის სახელმწიფო ენაა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ლეილა გეგეშიძე

ამბები ინფორმაციის წვრილი

ინფორმაციის და ...

[illegible]

ლეო ქიაჩელის „პაკი აძგა"

[illegible]

...ეროვნული ...

[illegible]

...ეროვნული ...

[illegible]

...ეროვნული ...

[illegible]

რ ე ც ე ნ ზ ი ა

ახალი სათქმელი

დაგვიანებული შთაბეჭდილება ეთერ თათარაიძის მოთხრობათა გამო

მეხუთე გვერდიდან

რობათა ენის შესახებ უნდა ითქვას. მოთხრობები ბრნყინვალე ქართულითაა დაწერილი. ენას განსაკუთრებულ სიღრმეს ანიჭებს უჩვეულო კომპოზიტთა თუ შესიტყვებათა ხმარება, რასაც ავტორისეული სათქმელი ძალიან მკაფიოდ და ამომწურავად მოაქვს მკითხველამდე. ამჯერად მხოლოდ დამახასიათებელ სიტყვებსა და ფრაზებს მოვიტანთ: გვარამონაცვლებული, ქონებაბარაქიანი,შემოსიცილი,სამოკლეო გზა, ძალძაფიანი, ხარების მნაფაკი (ხარებს უნაფაკს), გამოუგონთებელი, მიდედოფლდნენ, ამოფიერბანდა, მოჭიდილი თოელი... „მიდიოდა ამდგელეული, ზეავების ნადნობით გულარეული და ცოფშესმული მდინარე"; „სქელად დასდებია სქელი საფარველი თეალსანიერში გამოფენილ გორ-გურებსა და ბექ-ფერდობებს, ნაყანეე-ნასათიბარსა და გლიმ ჩაეარდნილ სოფელს, საჯარე გზასა და ნერილმან, სამეზობლო ბილიკებს"; „გაილია გრძელი, ტკივილნაჭირეები ზამთარი"; „...აფეფებული, ზეავის ნადნობშენარეკი ჩქარი, მღერიე ხეკი მოდის და მოჯავრობს" და სხვანი.ესაა სნორედ ის, ერთი შეხედვით სადა,მაგრამ ამასთანავე, მსუყე ქართული, რომელსაც ნიადაგად ძარღვიანი ქართული სიტყვა უდეეს და დიალექტიდან მოტანილი გამჭვირვალე ცვარ-ნამითაა ნაპკურები. და გადაჭარბებული არც იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს ვეაესეული გზის ერთგვარი გაგრძელებაცაა: დიალექტთა ამოუწურავი სალაროდან სალიტერატურო ენის გასამდიდრებლად მოტანილი ლექსიკა ხალხში გაბნეული მარგალიტების ეროვნულ საგანძურში დაბრუნებას უდრის.

ეს პირველიეე მოთხრობიდან ჩანს.მას „გაზაფხულის მოლოდინი" პქვია. თუშეთის მეებში ჩაგუბებულ ამ მოლოდინს განცდას მთელი მთელი მოთხრობა მოუცავსიგი ინყება, ბეერდება და ბოლოს სიხარულშერეულ მოლოდინად იქცეეა.

მასში შეზავებულია მთიდან მოტანილი სიტყვა თუ გაინყობა, უჩვეულოდ დანახული ბუნება და ეს იმდენად ლამაზ, განუმეორებელ სურათს ქმნის, რომ მკითხველში სასიამოვნო ემოცია იეანუბს.იმისათვის,რომ ამ პატარა მოთხრობის მთლიანად გადმონერა არ მოგვიხდეს, გვინდა ნანყვეტ-ნანყვეტ ფრაზებად მივანოდოთ მკითხველს და ასე შეეიყვანოთ იმ უჩვეულო სამყაროში,სადაც პოეტური სულის ავტორი გვეპატიჟება: „ღამე ყინავს, იქოდება. ლულენით ანთია კერაში ცეცხლი. თავბრუდასხმული თითისტარი როკავს სახრელში"; „ბნელდება. ისეე თოეს. ისეე გრძელდება კერის პირზე დაუმთავრებელი ზღაპარი. იძინებენ ფეხდაუდგმელი თოელსაეთ უმნიკელო ბალღები"; „...ბევრიც ინყიონ, იდანდაქონ, რას გაგონებენ თოელს, რომელსაც სულ რამდენმე დღის სიცოცხლე დარჩენია და ჯიუტობს, არ უნდა ნასელა, ელამაზება ის სამყარო, სადაც მკვიდრობს..."; „...მისაეათებული თოელის ნასვრეტებში ცისთვალები და ენძლები ცრემლებს ინმენდენ, გაცოცხლების სიხარულით მოგვრილ ცრემლებს. ახალდაბადებული ბალახის ფეხაუდგმელი ღერები ტანს იმაგრებენ. კედლებზე ირეკლება ძალიცემული მზის სხივები და თქრიალით დასდის თოელის კედლებს ჭრილობიდან სისხლი..."; „თენდება. მისულფერებული ზამთარი გზას უთმობს მეეთქვე, ტანჭრელ გაზაფხულს... ყვავილები მალე დააყრიან უკანასკნელ ცრემლებს თავიანთი ფესვეების მაცოცხლებელ,მზის სხივთა ცხოველმყოფელი ძალით ატირებულ თოელს". მოხმობილ ნანყვეტებშიც კი, ვგრძნობთ, კარგად ჩანს, როგორ გრძნობს ავტორი სიტყვის ძალას და ამ ძალას უდანაკარგოდეე გადასცემს მკითხველს.

შემდგომ მოდის მოთხრობები ადამიანებზე (ეს, რა თქმა უნდა,ჩვენეული სახელდებაა, ამგვარი რამ ავტორს არ გამოუკვეთავს), რომელთა უმრავლესობას სათაურად გმირის სახელი აქვს. ეს ადამიანები მთის შვილები არიან. ისინი თავიანთი პიროვნული თვისებებითა და ბედით გამოირჩევიან. ზოგი მათგანის ბედია უცნაური, ზოგს თავად სჭირს უცნაურობა, ზოგისთვის, რომ იტყვიან, მართლაც მოუცლია ნუთისოფელს. შესაძლოა, ეს იმ ადამიანთა ანარეკლები იყოს, რომელთა ცხოვრებასაც ავტორის თვალნინ ჩაუვლია,მაგრამ ერთი რამ კი აქ უთუოდ უნდა აღვნიშნოთ: თუ არა მწერლისეული ნიჭის საოცარ და მაგიურ ძალას, სხვას არაფერს ძალუძს ასე მცირე ზომის ნაწარმოებებში ასეთი გამჭვირვალე, მკვეთრად სახასიათო და განუმეორებელი, საოცარი ინდივიდუალობით აღსავსე და დასამახსოვრებელი სახეების შექმნა.

მკითხველის ცნობიერებაში გმირი მეტად უშუალოდ შემოდის. აქ არაა ვრცელი ავტორისეული ჩარევა,ავტორისეული დახასიათება — გეუფლება განცდა, თითქოს სამალავიდან უყურებდე მათ კინოკადრებივით ჩავლილ ცხოვრებას, ანდა უახლოესი ადამიანის სულის ალსარებას ისმენდე. ავტორი მკითხველსა და გმირს ერთად ტოვებს, თვითონ კი თითქოს განზე დგება და გმირისა და ამბის შეფასებას მხოლოდ მკითხველს ანდობს. ამგვარი რამ ნოველაში შესაძლებელია, მაგრამ ერთი სიძნელის გადალახვა კი ნიჭიერმა მწერალმა უთუოდ უნდა შეძლოს: რამდენიმე სიტყვით, რამდენიმე შტრიხით, ისე უნდა დაახასიათოს გმირი, რომ იგი განსაკუთრებულ და გამორჩეულ ადამიანად აქციოს.

ეს ი მართლაც კარგად აქვს მიღწეული ეთერ თათარაიძეს. აქ ჩანს გმირი და მისი მახასიათებელი; ამასთანავე იმდენად სახიერად,თითქოს, ხედავდე გმირს ან მისეული თხრობის ინტონაციაც გესმოდეს. ეს უდაოდ დიდი მწერლური ნიჭია.

საგაზეთო სტატია, რა თქმა უნდა, სრულად ვერ დაიტევს ყველა მოთხრობის ყოველმხრივ განხილვას. არადა, ამ მშვენიერ მოთხრობათა შორის გამორჩეულიც ბევრია: „ნუშკია","ყუბოი", „ჩემი კარის მეზობელი", „ხიზირი", „ხაროზე", „მნყემსის ნაამბობი", „ტირო", „მელტო", „ბედნიერი საიქიო", „პეტა", „თექვსმეტი ნლის „ბერდედა", „ცრაკო და ბრაკო" და ბოლოს ერთ ციკლად გაერთიანებული 6 მოთხრობა სახელნოდებით „მერცხლები". სათქმელი კიდევ ბევრი დარჩა,მაგრამ ახლა მკითხველს მიენდოს მათი შეფასება.

იქნებ მართლაც დაგვიანებულია ამ ნიგნზე შთაბეჭდილების გამოთქმა. იქნებ იმთავიეეე ელოდა კიდეც ამას ავტორი. მით უფრო, რომ ეს ახალი სამყარო თავისი ახალი სათქმელით მართლაც განსხვავებულად უნდა მიეღო მკითხველს.მაგრამ, მოდით, ჩვეულებრივი და ჩვენთვის ხშირად დამახასიათებელი „ლოგიკით" ეს ყოველივე ჩვენს დუხჭირ დროს დავაბრალოთ და თუნდაც ასე მოგვიანებით მაინც გამოიკვეთოს ამ თავისებური და ჭეშმარიტად პოეტური სულის მქონე შემოქმედის ახალი ამპლუა, რომელმაც სხვაგვარად და შთამბეჭდავად მოგვიტანა თავისი ახალი სათქმელი.

დალოცვა კი... გზის დალოცვა, ეფიქრობთ, გვიან არაოდეს არაა, ღმერთმა ხელ მოუმართოს საინტერესო შემოქმედს. კვლავ ახალი და მოულოდნელად საინტერესო ნაღვაწით გაეხარებინოს ქართველი მკითხველი. ჩვენ კი ვისურვოთ, რომ ის სულისკვეთება დაგვრუნებოდეს, რომელიც ყოველივე ახალს უმალ შეამჩნევს, გამოარჩევს და თავის კუთვნილ ადგილს დაუმკვიდრებს.

ნინო შარაშენიძე

რა ენა წახდეს

თითოეული

ქართული ენის ძირითადი ლექსიკური ფონდიდან სიტყვა „თითოეული“ დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე და ფორმაცვლებადი (პრონებადი) სიტყვა. გრამატიკული თვალსაზრისით იგი თავლება განსაზღვრებით ნაცვალსახელად ამ ჯგუფის სხვა ნაცვალსახელებთან ერთად: ოთი (თვითონ), თავად, ყოველ, ყველა, ყველაფერი, სხვ.

თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენისათვის ნორმად მიღებულია ამ ნაცვალსახელის მართლწერა ამ ფორმით, როგორც სათაურშია გატანილი. „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ გარკვეთ არის მითითებული: (თოოეული კი არა) თითოეულ. თავის ადგილას კი სწორი ფორმაც არის შეტანილი.

საწუხაროდ, ამ ნაცვალსახელის მართლწერა ხშირად ირღვევა. წერენ სხვადასხვაგვარად: თეთოეული, თეთოეული, თითეული. ასეთი უსრულებული ფორმების არსებობას, შესაძლოა, ისიც უწყობდეს ხელს, რომ სპეციალურ სახელმძღვანელო ლიტერატურაში ზოგჯერ განსაზღვრებით ნაცვალსახელთა შორის პარალელურ ფორმებად მიჩნევენ „თეთოეული“ და „თითოეული“ ფორმებს. თანაც ისე,რომ ძირითად ფორმად დასახელებულია „თეთოეული“, ხოლო „თითოეული“, ფრჩხილებში ჩასმული. იქნებ ეს ხდება „ოთი“,“თეთონ“ ნაცვალსახელების გავლენით ან სხვაგვარი წარმოშვლობის ეარაუდით; მაგრამ, როცა, ლეონის მაგალითი, არსებობს ავადმყოფური „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ და მასში ნაწერებია ჩვენთვის საინტერესო სიტყვის მართლწერა, მისი დაცვა ყველასათვის ერთნაირად სავალდებულოა.

და

. . .

მსგავსად „თითოეულისა“, დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე და ფორმაცვლებადი (პრონებადი) სიტყვა „ყოველ“-ც. გრამატიკულად ისიც განსაზღვრებთან ნაცვალსახელია. შინაარსობლივადაც ისევე აღნიშნავს: ხმარაელისაგან ცალკეულს (ყოველი მოსწავლე//თითოეული მოსწავლე). ამდენად, ისინი ხანდახან ითვლება და ერთგვარადაც გამოყენება.

დასახელებული ნაცვალსახელები ახლოს სხვა სიტყვების ამხსნელადაც და დამოუკიდებლადაც. ამხსნელად გამოყენების შემთხვევაში ზოგჯერ შეეხებით ასახსნელ სიტყვასთან ფორმობრივ და შინაარსობრივ შეუსაბამობას, კერძოდ, როცა ასახსნელი სიტყვა მრავლობითის შინაარსის მქონეა. ასეთ შემთხვევაში ასახსნელ სიტყვას აწარმოებენ— თა დამოლეობანი მრავლობითის —გან თანდებულიანი ფორმისაგან, რომელშიც ამ თანდებულს ხმარაელისაგან გამორჩეულ, გამოცალკევების ფუნქცია ეკისრება (სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილია —გან თანდებულის ამ ფუნქციით ხმარება და დარჩენებიც ამასთან დაკავშირებით).

მშფველობაში გვაქვს ასეთი შესიტყვება: ყოველი მოქალაქეთაგანი (—მოქალაქეთაგან თითოეული ცალ-ცალკე). ასეთ შესიტყვებაში უფრო ხშირად და ბუნებრივად,როგორც მოსალოდნელია, ასახსნელ სიტყვად ნაცვალსახელი გამოიყენება. მაგრამ, როგორც ჩანს სხვა სახელების ანალოგიით, —გან თანდებულის წინ —თა ფორმანტსაც ტოვებენ.

სწორი სალიტერატურო ფორმები ლაპის წალეკოს არასწორმა ასეთმა ფორმებმა: ყოველი//თითოეული ჩვენთაგანი (თქვენთაგანი ან იშვიათად, მაგრამ შეგეხვედა მათთაგანიც კი).

უნდა დავიმახსოვროთ: რაკი ჩვენ, თქვენ, მათ ნაცვალსახელები ისევდაც მრავლობითის გამოხატვენია, მრავლობითის —თა ფორმანტი საჭირო აღარაა.

ყოველი

მაშასადამე, უნდა იყოს მხოლოდ ასე: ყოველი//თითოეული ჩვენგანი (თქვენგანი, მათგანი).

ამგვარ შესიტყვებებში გვხვდება სხვა სახის დარღვევაც. კერძოდ, გამოცალკევებითი შინაარსის ყოველი//თითოეულის ნაცვალად მოიხმარენ საპირისპირო (შემკრებლობითი) შინაარსის ყველა ნაცვალსახელს, რომელიც გამორიცხული უნდა იყოს ამგვარ შესიტყვებაში. ამიტომ ყველა ჩვენგანი, ყველა თქვენგანი ან ყველა მათგანი სემანტიკურად შეუსაბამელი გამოთქმებია. იხმარება კი არც თუ იშვიათად. ასეთი უსრულებელი გამოთქმების რედაქტირება ასე შეიძლება: 1. ან ყველა დამოუკიდებლად უნდა დარჩეს, ასახსნელი სიტყვა ზედმეტია (ყველა მოვდა); ან კიდევ 2. ყველა უნდა შეიცვალოს ყოველი ნაცვალსახელით.

თინათინ ლეონაძე

კაზინო «საქართველო»?

რეკლამებში ყველანაირ სახელწოდებას წააწყდება კაცი. ტელევიზიით რეკლამების გადაცემისას ბევრი უცნაური სახელი გაიელვებს ხოლმე. ზოგი გვაოცებს თავისი გულუბრყვილობით, ზოგი კი — პათეტიკურობით.

ჩვენ, უბრალოდ,გვინდა აღვნიშნოთ,რომ არის სახელები, რომლებიც წმინდა და მოსარიდებელია, თავისი ერთადერთობითა და განუმეორებლობით. სწორედ ასეთია „საქართველო“ და „გელათი“

არ დავიწყებთ იმის მტკიცებას, თუ რაოდენ ძვირფასია ეს ორი სახელი ჩვენი ერისათვის. ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, თუ ამ სახელებს არაფერს დავარქმევდით, მაგრამ თუკი ვერ გავუძლებთ ცდუნებას,შეიძლება არსებობდეს ამ სახელწოდების ჟურნალი, გაზეთი, უნივერსიტეტი.არის კიდეც მშვენიერი გაზეთი „საქართველო“ და სამედიცინო უნივერსიტეტი „საქართველო“. მაგრამ, ჩვენი ფიქრით, ნამდვილად არ უნდა ერქვას კაზინოს „საქართველო“ ან „გელათი“.

ჩვენი დიდი გაოცება გამოიწვია ტელევიზიით მოსმენილმა რეკლამებმა, რომლებშიც სხვადასხვა მომსვლელს ეპატიჟებოდნენ კაზინო „საქართველო“ და კაზინო „გელათი“.

კაზინო ისეთი დაწესებულებაა, რომელსაც უბრალოდ ერქვას „საქართველო“ ან „გელათი“. ამიტომ, ცოტა მეტი დაფიქრება და მოკრძალებაც გვმართებს სახელწოდებების შერჩევისას. ლიცენზიების გაცემის დროს, ალბათ, ვინმე თვალს უნდა ადევნებდეს, ასეთი შეუსაბამობა რომ არ მოხდეს.

ციცინო კვანტალიანი

«ესე იგი» და «ჩადებულია»

„ესე იგი ამ ჩვენს გამოსვლაში ის აზრია ჩადებული, რომ მიწა გირაოშია ჩადებული“, — იწყებს მოსაუბრე და არ ითვალისწინებს, რომ ეს აკუალებული „ესე იგი“ და „ჩადებული“ ეკრებს მეტყველების კულტურას.

ესე იგი არის ისეთი მაფიქებელი კავშირი, რომლის მიმდევნო წინადადება ან სიტყვა ხსნის, აზუსტებს წინასწარ წინადადებას ან მის რომელიმე წევრს და უფრის კავშირს ანუ ამიტომ მისი წარმართა უადგილოდ ხმარება შეუწყარებელია. მით უფრო, ისეთი წინადადების დასაწყისში, რომლის წინ ჯერ არც ერთი სიტყვა არ თქმულა. უფრო შეუფერებელია რიგად წინადადებაში მისი უადგილოდ ხმარება: „მაგალითად ამას, რომ, ესე იგი, გაიმარჯვეს“.

ქართულ მეტყველებას ეკრებს ისეთი გამოთქმებიც: „ეს მოთხოვნა კანონშია ჩადებული“ ან „ეს აზრი ოქმებსა და აქტებშია ჩადებული“. ამ სიტყვას ამბობენ, როცა ხელოვნი თუ უხელო საგანია რაშეი, რისამე ხელშეა ჩადებული, მოთავსებული. „ლეარსაბ კუბოში ჩადებული და მორთული დასაფლეს ტარტაროზი“ (ილია). კარგია, თუ ინდივიდია საცალად ჩადებული, მაგრამ არ უნდა ვიქნეთ „მიწა გირაოშია ჩადებული“ ან „აზრი დადგენილებაშია ჩადებული“. თუ მიწა დაგირავეს, მიწა დაგირავებულია. აზრი კი შეიძლება იყოს გამოთქმული და არა ჩადებული.

ტიტე სულაბერიძე

ენა და ნორმა

ჩენა და ჩინება

ჩენა და ჩინება, დენა და დინება, დგენა და დგინება ხმოვანმონაცვლე ზმნათა საწყისებია. ეს საწყისები, ისევე, როგორც ამავე ზმნათა მიმღეობანი, პირველი სერიის ფუძეს ემყარება. ხმოვანმონაცვლე ზმნა პირველ სერიაში თუ თემის ნიშნის გარეშეა, ფუძეში ე ხმოვანს გვიჩვენებს, ხოლო თუ თემისნიშნიანია, მაშინ ფუძეში ი ხმოვანი გვაქვს; მაგ.: ადგენს//ადგინებს, ადენს//ადინებს, ავლენს//ავლინებს, ამხელს//ამხილებს, აჩენს//აჩინებს და სხვ.

ქართული საენათმეცნიერო ლიტერატურის მიხედვით ამ ზმნების ისტორია ასეთია: ძველად იყო „ავლინებს, ვლინება“ ტიპი. შემდეგ დაიწყო გამარტივება. მომდევნო პერიოდიდან (XI საუკუნიდან) ჩნდება პარალელური ფორმები: აღადგინებს — აღადგენს, წარგავლინებ — წარგავლენ და სხვა. ზოგ შემთხვევაში ახლებურად ნაწარმოები აწმყო დაედო საფუძვლად პირველ თურმეობითს: აღუდგენიეს, განგიჩენიეს, და სხვ. ასევე ახალი ზმნური ფორმებიდან იწარმოება სახელზმნებიც: წარვლენაჲ, შეძენაჲ, მოვლენილი და სხვა. XI საუკუნიდან ცოცხალ მეტყველებაში ამ ტიპის ფორმები ალბათ უკვე გაბატონებული იყო (ზ. სარჯველაძე).

ცოცხალი მეტყველებისა და დიალექტების მონაცემების გათვალისწინებით, ამ ზმნების, მათი საწყისებისა და მიმღეობის ნიმუში დღეისათვის ასეთია:

ზმნა
ავლენს//
ავლინებს;
საწყისი
ვლენა//
ვლინება;
მიმღეობა
მივლენილი//
მივლინებული

მსგავსად სხვა ხმოვანმონაცვლე ზმნებისა (დრეკს, დრეკა, გადრეკილი...), ზემოთ აღნიშნული ფორმებისათვისაც ნორმად ე ხმოვნიანი ფუძე უნდა მივიჩნიოთ: **ავლენს, ვლენა, მივლენილი** და სხვ. აქედან გამომდინარე, **დგენება, დენება, ჩენება** და მსგავსი ფორმები უარსაყოფია, მაგრამ საჭიროა იმის გათვალისწინებაც, რომ —ებ თემისნიშნიანი, ი ხმოვნიანი ფუძე ზოგჯერ გამოყენებულია სემანტიკური განსხვავების გადმოსაცემად. მაგალითად:

დგენა და **დგინება:**

აღდგენა ეს არის ხელახლა აშენება, წინანდელი სახის მიცემა, განახლება. იგივეა **აღდგინებაც,** მაგრამ ითქმის „ლაზარეს **აღდგინება**“ და არა **აღდგენა.** (აქაც და ქვემოთაც ვეყრდნობით ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მასალებს).

წარდგენა ნიშნავს რაიმე წერილობითი საბუთის მიტანას; გაცნობას; შუამდგომლობას ვისიმე დაჯილდოების თაობაზე. იგივეა **წარდგინებაც,** მაგრამ ამ უკანასკნელს მოეპოვება განსხვავებული მნიშვნელობაც, კერძოდ, ეს არის რაიმე სურვილის შემცველი ოფიციალური განცხადება: „[ნორვეგიის] მთავრობა განიხილავს საკითხს, რათა **წარდგინება** გაუკეთოს ვაშინგტონს, თუ შეერთებული შტატები ბოიკოტს გამოუცხადებენ ნორვეგიის გემებს“.

დენა და **დინება:**

დენა ნიშნავს განუწყვეტელ ნაკადად მოძრაობას, მდინარებას, სითხის დინებას. იგივეა **დინებაც.** მაგრამ „**დინება**“ ფართოდ გამოიყენება როგორც გეოგრაფიული ტერმინი. კერძოდ, **ზღვის დინებები, ოკეანის დინებები** — ესაა წყლის მასების წინსვლითი მოძრაობა ზღვებსა და ოკეანეებში. ასეთივე მნიშვნელობით გვხვდება **ჭარისმიერი დინება, ჩამონადენისმიერი დინება, კომპენსაციური დინება.** განლაგების მიხედვით შეიძლება იყოს: **ზედაპირული, სიღრმითი, ფსკერული და სხვა დინებები. დინება** შეიძლება შეგვხვდეს **მუდმივი, დროებითი** და **პერიოდული** (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია).

გვხვდება „**ახირებული დინებაც**“. კერძოდ, საბავშვო ენციკლოპედიის ქართულ თარგმანში „მალსტრემს“ **ახირებული დინება** უწოდეს (რუსულად — „дурное течение“). თვით მალსტრემი დანიური სიტყვაა და სიტყვასიტყვით ნიშნავს წყლის ნაკადს, რომელიც მორევს ქმნის.

მნიშვნელობის მხრივ ერთმანეთს ემთხვევა აგრეთვე: **ავლენს//ავლინებს, მივლენს//მივლინებს, მივლენა//მივლინება.** მაგრამ, როდესაც ლაპარაკია სამსახურეობრივი დავალებით ვისიმე დროებით სხვაგან გაგზავნაზე, **მივლინება** იხმარება და არა **მივლენა.**

მხელა და **მხილება:**

ამხელს და **ამხილებს** განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სემანტიკურად (მცირედ,მაგრამ მაინც). კერძოდ, ორივე ნიშნავს გამოაშკარავებას, გამომჟღავნებას, მაგრამ **ამხილებს** ზმნა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რაიმე უნდა გამოაშკარავდეს გაკიცხვის, დაგმობის მიზნით. „**მხილება**“ ფუძით გვხვდება შემდეგი მიმღეობანი: **მამხილებელი** — ვინც, ან რაც ამხილებს; **მხილებული** — ვინც ან რაც ამხილეს, — საშკარაოზე გამოცანილი, და დაგმობილი; **სამხილებელი** — რაც უნდა ამხილონ, გამოამჟღავნონ. გვაქვს ზმნიზედაც **სამხილებლად** — მხილებისათვის, გამოსამჟღავნებლად.

ჩენა და **ჩინება:**

ჩენა ნიშნავს რაიმეს შექმნას, გაჩენას, **ჩინება** კი გამოჩენას, გამოვლინებას. სემანტიკურად სახეცვლილია ამ ფორმათა მიმღეობანი: **ჩენილი** იხმარება რთული ფუძის მეორე შემადგენელ ნაწილად — **თავჩენილი, ჩინებული** კი ნიშნავს დიდებულს, საუცხოოს, შესანიშნავს. აქედან წარმოქმნილია ზმნიზედაც — **ჩინებულად.**

სემანტიკურ სხვაობას გვიჩვენებს ამ ზმნათა ზმნისწინიანი ფორმებიც: **გამოჩენა, გამოჩინება.** „**გამოჩენა**“, „**გამოჩინებისაგან**“ განსხვავებით ზეიმს, დღესასწაულსაც ნიშნავს: „საქართველოში კი ზეიმია და **გამოჩინება**“ (შ. დადიანი). „[ხათუთა] უბრალო კაცის შვილი ხომ არ არის, **გამოჩინების** დროს მივჩქმალოთ?“ (ვ. ბარნოვი).

აღსანიშნავია, რომ ზოგი სახელზმნა მხოლოდ „**ჩინება**“ ფუძით გვხვდება და პარალელური ვარიანტი ე ხმოვნიანი ფუძით არ გაჩნია. ასეთია,მაგალითად, **წარჩინება, წარჩინებული.**

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ხმოვანმონაცვლე ზმნათაგან სალიტერატურო ენის თვალსაზრისით სერთოდ მიღებულია ე ხმოვნიანი უთემისნიშნო ფორმები (ავლენს, ვლენა, მივლენილი), ზოგ შემთხვევაში მათ გვერდით საკუთარი გამართლებულია ამავე ზმნათა თუ სახელზმნათა ი ხმოვნიანი თემისნიშნიანი ფორმების ხმარებაც, რომელთაც მნიშვნელობის განსხვავებული ნიუანსები აქვთ.

რამაზ ჟურდაძე

მთავარი რედაქტორი

„როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“...

1995 წელი ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის საიუბილეო წელი იყო. ქართველმა ხალხმა ღირსი პატივი მიაგო იუბილარებს. გასული წლის კულტურული ცხოვრების თაობაზე მოსაუბრე ერთ-ერთმა თანამდებობის პირმა, რა თქმა უნდა, ეს იუბილეებიც გაიხსენა და სიამაყით აღნიშნა: „საიუბილეო ზეიმი გაიმართა ტიციანის სამშობლოში, სოფელ ჭყვიშში და პაოლოს სამშობლო სოფელ არგვეთში“. ამის მთქმელს ავიწყდება, რომ სამშობლო ტიციანსა და პაოლოს ერთი აქვთ — საქართველო. სამშობლო და მშობლიური სოფელი არ უნდა გავიგიგოთ. ასე ვთქვათ: „საიუბილეო ზეიმი გაიმართა ტიციანის მშობლიურ სოფელში— ჭყვიშში და პაოლოს მშობლიურ სოფელში— არგვეთში“.

ეს იქნება სწორი ქართული.

„ოხ, როდემდის, როდემდის?..“

კარგა ხნის წინათ თამაზ წიფწიკაძემ გამოაქვეყნა წერილი „აბა დელია ვორდელია!.. ანუ: მეტი პასუხისმგებლობა“, რომელშიც ქართული სიმღერების ტექსტებზე იყო საუბარი. შეეხსწარი: მწერალთა კავშირთან ნიკა აგიაშვილი შეხვდა თამაზს და უთხრა: „თამაზ, ძალიან კარგი წერილი გამოაქვეყნე,მაგრამ რად გინდა, ხვალ გამოვლენ და ისევ ისე იმღერებენო“...

ქართულ ენასთან დაკავშირებით რამდენი კომისია შეიქმნება, რამდენი ახალი დადგენილება გამოვა, სამწუხაროდ, ეს კარგა ხნის წინანდელი ამბავი გამახსენდება და ეჭვი გამკრავს, ვაითუ „ისევ ისე იმღერონ“-მეთქი.

ვაი რომ, ჩემი ეჭვი ხშირად მართლდება...

გასული წლის შემოდგომაზე თბილისის მერიაში ორჯერ იყო საგანგებო მსჯელობა არაქართულენოვანი რეკლამების თაობაზე. 1995 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებიდან: „1.3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტსა (ბ-ნი მ. ტყეშელაშვილი) და დიზაინის სამმართველოსთან (ბ-ნი ზ. მგალობლიშვილი) ერთად მიიღონ გადამწყვეტი ზომები სარეკლამო გაფორმების მოსაწესრიგებლად. უახლოეს დროში აღრიცხონ და შესაბამისი ფირმებისა და კერძო სტრუქტურების საშუალებით შეცვალონ რაიონებში არსებული არაქართულენოვანი სარეკლამო წარწერები, აბრები, პლაკატები და ა.შ. ხოლო ახალი ფირმის შექმნისას დროულად იზრუნონ შესაბამისი სახელწოდების შესარჩევად...“

1995 წლის 24 იანვარს კოლეგიის სხდომაზე გადაწყდა, რომ მერიასთან შეიქმნება სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საზედამხედველო სამსახური. გარკვეული ვადებიც დაითქვა, თუ არ ვცდებით, 1996 წლის 1 თებერვლამდე... ახლა, როცა პირველი თებერვალი ჩავლილია, დანანებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ, საუბედუროდ, ეს დადგენილებაც ქაღალდზე დარჩა.

იმედს ვიტოვებთ, რომ 14 აპრილისათვის, დედაენის დღისათვის, კვლავ გაიხსენებს მავანი და მავანი ქართულ ენას და, ალბათ, ახალ დადგენილებასაც მიიღებენ, მაგრამ ნიკა აგიაშვილის თქმისა არ იყოს, „რად გინდა, ხვალ გამოვლენ და ისევ ისე იმღერებენ...“

და მაინც ვსვამთ კითხვებს: ვინ უნდა მოჰკითხოს პასუხი მერიის დადგენილებათა შეუსრულებლობაზე? არსებობს კი რაიმე მექანიზმი პასუხისგებისა? გვაქვს კი რაიმე საკანონმდებლო აქტი,რომელიც დედაენის წინაშე დამნაშავე კაცის პასუხისმგებლობას განსაზღვრავდა? რატომ ვიღებთ ისეთ დადგენილებას, რომლის შესრულებაც არ შეგვიძლია? ვგრძნობთ თუ არა იმას, რომ ყოველნი უმოქმედო დღემ შეიძლება იმდენი დაუშაოს დედაენას, წლები დასჭირდება მის გამოსწორებას?...

მსგავსი კითხვების გამრავლება შეიძლება, მაგრამ... „ოხ, როდემდის, როდემდის?..“

ო, ენავ ჩემო

მეგობარმა მიამბო:

ტროლეიბუსში ხანშიშესული ქალი ნაცნობს სიამაყით ესაუბრებოდა თავის შვილიშვილზე:

— ბებო ენაკვალოს, ხუთი წლისაა და უკვე გერმანულად აზროვნებს; გუშინ მითხრა: ბებო, იცი, ჩემი მამიკო რა კარგად თამაშობს გიტარაზეო.

შეუჭო და დაულოცა ნაცნობმა ნაცნობს შვილიშვილი.

ასეთ ბებოებს დიდი იაკობ გოგებაშვილის აზრს შეეახსენებთ:

„დედა-ენის გაცელა უცხო ენაზედ მაშინაც კი ამდაბლებს კაცის გონებასა და უსუსტებს ზნეობრივს ძალასა, როდესაც იგი სტოვებს თავის სამშობლო ქვეყანას, შორდება მის ბუნებას და ეარდება უცხო ბუნებისა და ცხოვრების გავლენის ქვეშ. ამ შემთხვევაშიაც იბადება წინააღმდეგობა კაცის ეროვნულ აგებულების და მის მეტყველების შუა და ამ წინააღმდეგობის წყალობით ეს გადაკარგული პირი რამდენისამე ხარისხით ძირს ჩამოდის სულიერად. თუ იგი გენიოსად იყო დაბადებული, გამოვა მხოლოდ შესანიშნავი ნიჭის პატრონი, თუ ნიჭიერად იყო გაჩენილი, საშუალო ნიჭის ადამიანი შეიქმნება და თუ ბუნებისაგან დაყოლილი ჰქონდა უბრალო ნიჭი, მტკნარს სიტუტუცეზედ ჩამოხტება. ეს ხდება იმიტომ, რომ ეროვნული აგებულება ყოველს კაცს ძლიერ მტკიცედ აქვს შესისხლხორცებული და ამ აგებულების შეცვლა ითხოვს უცხო ბუნების და ცხოვრების მეტად დიდი ხნის გავლენას“ (ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 1990 წ. გვ. 16-17).

კვირაში შვიდი დღეა...

არ მკითხოთ, საიდან იცი, ვინ გითხრაო... ასე იყო ოდითგანვე და ასეა დღესაც. რამ გამახსენა? გეტყვით: ყველასათვის ცნობილ, პოპულარულ გაზეთს — „რეზონანსს“ — პირველ გვერდზე, სათაურთან აწერია ყოველდღიური გაზეთი. ამის წამკითხველი,რა თქმა უნდაელოდება, რომ კვირაში შვიდჯერ თუ არა, ხუთჯერ მაინც გამოვა გაზეთი (შაბათ-კვირა დასვენების დღეებია...); მაგრამ, სამწუხაროდ, იმედი გაუცრუვდება, როცა ბოლო გვერდზე წაიკითხავს: „გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს“. რა მიეცა ?

— ყოველდღიური გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ! **მაშ** რატომ ჰქვია ყოველდღიური?

მერე რა მოხდაო, იტყვის მავანი. ეს არ არის ერთეული შემთხვევა, როცა ხდება სიტყვის არასწორი მნიშვნელობით გამოყენება. „რეზონანსი“ ის გაზეთია, რომელსაც არ სჭირდება ამგვარი რეკლამა. უნდა გასწორდეს თითქოხდა უბრალო,მაგრამ, ჩვენი აზრით, უხერხული უხუსტობა.

იუბილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალბატონო მზექალა!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა და ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო ფაკულტეტის მრავალრიცხოვანი თანამშრომლებისა და სტუდენტების სახელით გულითადად მოგილოცავთ თქვენ, მზექალა შანიძე, თავლსაჩინო მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, დაბადების 70-ე წლისთავს.

თქვენ, დიდი ქართველი მეცნიერისა და მოღვაწის აკაკი შანიძის შვილს, გჩვენდათ ბედნიერება ბავშვობიდანვე აღსრდილიყავთ ჩვენი გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა წრეში, შეგესისხლხორცებინთ ყველაზე საუკეთესო, რაც ჰქონდა თქვენი მშობლებისა და მასწავლებლების სახელოვან თაობას.

მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრება განუყრელად არის დაკავშირებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომლის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზეც თქვენ წარჩინებით დამთავრეთ, აქვე გაიარეთ ასპირანტურის კურსი აკადემიკოს გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით, შემდეგ აქვე შეუფლებთ და დღემდე განაგრძობთ პედაგოგურ და სამეცნიერო მოღვაწეობას ფილოლოგიის ფაკულტეტის ძველი ქართული ენის კათედრაზე. სადაც განეკუთვნა გრძელი გზა ასისტენტობიდან პროფესორობამდე. სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია „ორთონის" ხელმძღვანელამდე.

თქვენი მეცნიერული ინტერესების ფართო სპექტრიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ქართული სამწერლობო ენისა, ისტორიისა და ბიბლიის წიგნთა, კერძოდ, ფსალმუნთა, ტექსტოლოგიური და ისტორიულ-შედარებითი კვლევა, რომლის მნიშვნელობის შესაფასებლად მარტო ამ ფაქტის აღნიშვნაც კმარა, რომ ფსალმუნთა ბოლოდროინდელი მეცნიერული თუ პრაქტიკული დანიშნულების მქონე გამოცემა ქართულ ენაზე მოლიანად თქვენ მიერ დადგენილ ტექსტს ეფუძნება. პარალელურად თქვენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში სამ ათეულ წელზე მეტია ხელმძღვანელობთ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან განყოფილებას.

ქართული ფილოლოგიური მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია აგრეთვე თქვენ მიერ გამოცემული ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი „ხიტყვაჲ არეთრონეთათჳს" და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ეიზუალება „ცხოვრება მეფეთა-მეფისა დავითისა", რომელთაც თქვენ დაურთეთ მეტად საყურადღებო გამოკვლევები და კომენტარები. ამ ნაშრომთაგან პირველს მინჭებული აქვს აკაკი შანიძის სახელობის პრემია.

თქვენ ბრძანდებით აგრეთვე სხვა პრესტიჟული ჯილდოების მფლობელი, გვლეთის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი წევრი, არჩეული ოცეთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატად. მაგრამ თქვენი ყველაზე დიდი ჯილდო არის ის საყოველთაო პატივისცემა, რომელიც დიდი ხანია დამსახურებულ ფართო საზოგადოების მიერ.

გულითადად გისურვებთ ყველა მშვიდობას, ჯანმრთელობას და ნაყოფიერ მოღვაწეობას ქართული მეცნიერებისა და კულტურის სასიკეთოდ.

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა, ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო

ეს ისტორია

ვისი აღმართი?

ძირძველ თბილისელებს კარგად უნდა ახსოვდეთ, ახლანდელ ბარათაშვილის აღმართს ციციანოვის სახელს რომ უწოდებდნენ. ადრე ბევრისაგან გამიგონია და ბევრს, ალბათ, დღესაც ჰგონია,რომ ეს სახელი აღნიშნულ აღმართს მთავარმართებლის პავლე დიმიტრის ძე ციციანოვის საპატივცემულოდ შეერქვა. პავლე ციციანოვი რუსეთის ხელმწიფის ალექსანდრე პირველის განკარგულებით 1806 წლის იანვარში ჯ. ბაქოს ალებისას ვერაგულად მოკლეს და მისი გვამი (მოჭრილი თავისა და მარჯვენა ხელის გარეშე) — შაჰს გაუგზავნეს თეირანს, იქვე, სომხურ ეკლესიაში დაკრძალეს. 1812 წ. მთავარმართებელმა მარკიზ პაულუჩიმ პ. ციციანოვის ნეშტი ბაქოდან ჩამოასვენა და თბილისის სიონში დაშარხა.

პავლე ციციანოვის სახელს არავითარი საერთო არა აქვს ხსენებულ აღმართთან.

სინამდვილეში კი იგი აქ გზის გამჭრელის, ფარსადან თეიმურაზის ძე ციციშვილის სახელთან არის უშუალოდ დაკავშირებული და ამ პიროვნების ღვაწლი არ უნდა დაიკარგოს. აქ შესაბამისი მემორიალური დაფაც უნდა გაკეთდეს, რათა მომავალმა თაობამ კარგად იცოდეს წინაპართა ღვაწლი და ამაგი. ახლა გავარკვიოთ, ვინ იყო ფარსადან ციციშვილი და რა დამსახურება აქვს მას. ფარსადანი იყო ბიძაშვილისშვილი პავლე ციციანოვისა. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S—1446 ფონდში დაცულია ციციშვილების გენეალოგიური სქემა, საიდანაც ეიგებთ, რომ პავლე ციციანოვის პაპა-პაპუნა და ფარსადანის პაპა ქაიხოსრო ძმები ყოფილან. 1808 წელს ფარსადან ციციშვილმა ეგზარქოს თეოფილაქტეს დავალებით დაიწყო სამსახური ქართულ ეკლესიაში. 20-იან წლებში ის პეტერბურგშია და ახლო ურთიერთობას ამყარებს ითონ ხელაშვილსა და სოლომონ დოდაშვილთან. შემდგომ იგი ერთხანს კათალიკოს ანტონ მეორესთანაც მსახურობს, რის გამოც მას მეფემისი პენსია დაენიშნა 500 მანეთის რაოდენობით წელიწადში. თბილისში დაბრუნების შემდეგ ის აქტიურად ჩაება საქართველოს ეკლესიის სამსახურში და ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას. მისი ინიციატივით თბილისში, რიყის უბანში, აშენდა საცხოვრებელი სახლი; ისტორიკოს პლატონ იოსელიანის ცნობით, მისი ინიციატივითა და სახსრებით შეკეთდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, ვახტანგ მეხუთის ასულის ელენეს მიერ აშენებული და 1795 წელს „ალამაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად დანგრეული და დიდხანს გაუქმებული რომ იყო. „1935 წ. ფარსადან ციციანოვმა დააკერა კედლები: საყდარი ესე დაჰყვა სახლსა შინა მისსა" — (S—3034).

განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ რიყიდან ავლაბრისაკენ, კლდიან ფერდობზე გზის გაჭრა. ამ მეტად რთული და ძნელად გასაყვანი გზის გაჭრა დიდ ხანს გაგრძელდა და საბოლოოდ იგი 1845 წლის დასაწყისში დამთავრდა. იმავე წლის ივნისში ფარსადან ციციშვილი გარდაიცვალა და ქალაქის მმართველობამ მისი სახელის უკვდავსაყოფად მის მიერ გაკეთებულ და გაყვანილ გზას „ციციანოვის აღმართი" უწოდა.

ფარსადან ციციშვილს ეკუთვნის ერთი მოსწრებული გამოთქმა, რომელიც დღევანდელ ჩვენს ცხოვრებას კარგად ესადაგება და რომელმაც ჩვენამდე ითონა მეუნარგიას წყალობით მოაღწია. მაშინ, როდესაც საქართველო მაზრებად დაყვეს, პეტერბურგელ რეფორმატორს უკითხავს ფარსადან ციციშვილისათვის,როგორ მოგწონთ ეს „преобразование"-ო, ფარსადანს უპასუხებია: „сначала нужно образование, а потом преобразование". აი, ასეთი პიროვნება გაბლდათ ფარსადან ციციშვილი, რომლის სახელიც თბილისს აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს.

ჯურმეშხან ცინცაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანაგანა

მარტს

მომრბანდი, მარტო, დროისით,
თოვლ-ყაპუნა და წყლიანო,
ჯუაზე თხელო, სულელო,
სანდისსან ქარიმსლიანო,
ზე-ქვერე ავადმყოფივით
ღრუმლიანო და მზიანო,
არც გაზაფხულო, ზამთარო,
არცთუ ნათელადღიანო!
შენ უკან დაგედევნემა
მერცხალი ჯიჯიკენისა,
გაზაფხულისა მორმედი,
დამაცკმომელი სმენისა,
გულის ჭირთ უკუგამყრელი,
მკურნალი დამპალ სენისა,
მუდამ ერთ სმაზე მგალობი,
მოყვარე დედაენისა.

ეთო მლვიმელი

ორიდან ხუთამდე...

გიორგის დედა ქრისტიანულ მცნებებს ასწავლიდა:
— „არა კაც კლა"...
— ქალი? — იკითხა გიორგიმ.

* * *

ნუცას ძმა აბრაზებდა.
ნუცა:— გამიჭირა საქმე, თუმცა, მე რა საქმე მაქვს, გამიჭირა უსაქმობა.

* * *

2 წლის სოფო დედას ეხვეწება:
— დედა, შარვლიანი კაბა ჩამაცვი-რა!

* * *

პატარა მარიამი ეკითხება დედას:
— დედიკო, ანას დადეგები დაეწყო?
— არა, არდადეგები.
— მე მეგონა დადეგები დაეწყო, — ამბობს გულდაწყვეტილი მარიამი.

* * *

დემეტრეს აზრით, მამიკო გოლიათია, თვითონ— გოლიოკი; პატარები პატივცემულები, დიდები— დიდცემულები.

კროსვორდი

1										
2										
3										
4										
5										
6										
7										
8										
9										

ჰორიზონტალურ რიგებში უნდა ჩავსვათ აკაკი წერეთლის ერთ-ერთი ნაწარმოებიდან მოყვანილ ციტატებში გამოტოვებული სიტყვები. პირველ ვერტიკალურ რიგში მივიღებთ აკაკი წერეთლის პოემის სათაურს.

1. ის ფაცხაა მღვიმის პირად
მიწნული და მიგრეხილი,
დრო და ჟამის შესაფერად —
ზამთარ თბილი, ზაფხულ...

2. ნაზიბროლა — სახელია,
სამეგრელოს ...

3. ... ხანგრძლივ ეს სოფელი
გაახარებს ვისმე განა?

4. ..., შენც კი იცი,
რომ მშვენებით განთქმულია;
ბევრი კარგი ახალგაზრდა
მისი ეშხით დაბმულია.

5. დიდხანს იჯდა...,
უყურებდა ცოლის ტანჯვას;

6. ჯერ გაპლალავს, მიიბირებს,
..., იგდებს ხელში.

7. გზა ალარ გაქვს!... უნდა გული
დაუდვა და ...,
რომ სატრფოს წინ შენ სირცხვილის
თვალი ალარ მოიწურო.

8. გადაიგდე გულიდან ეგ
ცრუ ზღაპარი და სიზმარი!..
მე და შენი სიყვარული
წმინდა არის ვით ...

9. ... მის ბედაურს
არ დაუთმობს ნებით გამჩენს
და, თუ ვინმე ძალას იხმარს,
შეაკვდება, არ შეარჩენს.

შეადგინა
მაია კობიაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად: 1. მინდა. 3. ხელით. 6. მიწას. 7. სიყვარულს. 8. სოსია. 9. უხმოდ. 10.ზაჭრო. 12. ალბად. 13. დამილონდი. 14. ივლით. 16. თართი. 17.საესე.

ვერტიკალურად: 1. მუდამ. 2. არრას. 5. ლაბავ. 3.ხალხს. 4. თავსა. 7. სასწორზედ. 8. სოდაგარი. 11. უღელი. 12. არსით. 13. დღენი. 14. ამედს. 15. თურმე.

ირაკლი რამიშვილი

გარდაცვალა ღირსული ადამიანი, ენათმეცნიერი ირაკლი რამიშვილი. 1954 წელს დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილება, სადაც ზოგადენგადისტურ დისციპლინებთან ერთად საფუძვლიანად სწავლობდა ქართველ-ჭანურელი, აფხაზური, ხუნძური, ოდიური და სხვა მთის იბერიულ-კავკასიური ენების გრამატიკულ სტრუქტურას და ისტორიას. მაგრამ მისი მეცნიერული ინტერესების ძირითადი საგანი მაინც ზოგადი ენათმეცნიერება და ენის ფილოსოფია იყო. მის ლინგვისტურ ნაშრომს სწორედ კავკასიური ენობრივი საფუძველი ჰქონდა. ახალგაზრდა ლინგვისტისადმი ნამოყალიბება ე.წ. „ენის შესახებ ახალ მოძღვრებასთან" ბრძოლისა და ხმა, ნადგეულად ახალი ენათმეცნიერების კრიტიკული [illegible] ეს. ამ წლებში მის ნაშრომებს დინური სტრუქტურალიზმის შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში თანამედროვე ლინგვისტიკის დამკვიდრებისათვის.

ფართო განათლებისა და ღრმა ცოდნის სპეციალისტი წყნარად, უხმაუროდ მუშაობდა. მოხსენებებსა და კონფერენციებს ხშირად თავს არიდებდა, მაგრამ რიცა ჯანმრთელობა საშუალებას აძლევდა, გვიჩვენებდა ხოლმე თავისი მკაცრი და ნათელი აზროვნების ნიმუშებს.

ცხოვრების წესიც მკაცრი და ნათელი ჰქონდა. კარიერაზე არასოდეს უფიქრია. მისთვის მხოლოდ ზნეობრივი ღირებულებები ფასობდა. მან თითქოს დაგვანახა, თუ როგორ შეიძლება გაიარო ადამიანმა მთელი ცხოვრება ეშმაკობად მორწმუნე კაცის ხანდასანი გზით.

გვინდა გვეროდეს, რომ მომავალში მისი მეცნიერული ღვაწლი უფრო გასაგები გახდეს. დღეს კი მის ახლობლებთან ერთად შეგვიძლია მხოლოდ მწარედ განვიცდოთ დიდი დანაკარგი– მისი ამ ქვეყნიდან წასვლა.

მშვიდობით მართალი, კეთილი ადამიანო!

გურამ თოფურია, ოთარ კიკვიძე, ზურაბ ჯაფარიძე

განცხადება

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის შიხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტი დაინტერესებულ პირებს აცნობებს, რომ 1996 წლის მისაღები გამოცდები ყველა საგანში ტესტების, ესეთი თანმიმდევრობით: უცხო ენა, ისტორია, ქართული ენა და ლიტერატურა (ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის); რუსული ენა და ლიტერატურა (რუსულ სექტორზე შემსვლელთათვის).

დაინტერესებულ პირებს ვაცნობებთ, რომ საგამოცდო საგნებში მისაღები გამოცდების პროგრამები (ილაქაკი საკითხებზე საკანონო კონსულტაციათი) და საგამოცდო ტესტების ნიმუშები იმყოფება ცნობარში, რომლის შეძენა შეგიძლიათ ინსტიტუტის წიგნების ჯიხურში 1996 წლის 1 მარტიდან.

მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზირი 45

რეჟიმი:

ამჟერად გთავაზობთ საგამოცდო ტესტის ნიმუშს ქართულ ენასა და ლიტერატურაში

1. მითითებული ლიტერატურული მასალა წარმოადგინეთ საზეპირის სახით, ან გადმოეცით მისი მინაარსი ციტატების (ზეპირი ძონაკვეთების) წარმოთქმა, ან – მხოლოდ მინაარსი:

„ნე ვინ იტყვის ობლობის ეკვს... ობერა არის შვენ უბედურისა!"

2. მითითებული ლიტერატურული მასალა წარმოადგინეთ საზეპირის სახით, ან გადმოეცით მისი მინაარსი ციტატების (ზეპირი ძონაკვეთების)წარმოთქმა, ან – მხოლოდ მინაარსი:

„ოთხი წელიწადი იყო... ნეტავი იმას, ვინც შენ რიგასად მოგიხმარა".

3. „მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებთ, რომელსაც ეძებთ" – მითითებული ლიტერატურული მასალა წარმოადგინეთ

1. „თორნიკე ერისთავის", 2. „ანრდილის", 3. „ქართლის ჭირის", 4. „ბედი ქართლისა", 5. „სადღეგრძელოსი" (შემოხაზეთ)

4. „ეროვნულ ხასიათის ცხოვრება" დაწერა:

1. 860 წ; 2. 951 წ; 3. 864 წ; 4. 476-484 წ-ში; 5. 1112 წ. (შემოხაზეთ)

5. „რიგან თავა ხიცრეე ყოველა უბადობა, მე რად კაკვნარი მოყვარე, ძმა, ეშმაკობა ძმობა" – ეს სიტყვები ეკუთვნის:

1. რონტაკეს, 2. სოლომონს, 3. ტარიელს 4. ავთანდილს, 5. გიორგი მეფეს (შემოხაზეთ)

6. „ალბედ ჭეოლაურში" ხეკისბერია:

1. მინდია, 2. უმიშა, 3. ბერია, 4. ბეგეა, 5. მათია (შემოხაზეთ)

7. ბაგისეული ბგერაა: დ,ძ, ზ, ფ, წ (შემოხაზეთ)

8. „ერგის" – მოცემული ზმნის ფორმა: 1. I კავშირებითია, 2. მყოფადი, 3. II კავშირებითია, 4. წყვეტილია, 5. III კავშირებითია (შემოხაზეთ)

9. „ეცოან" – მოცემული არსებითი სახელი არის:

1. სახელობითში, 2. მოთხრობითში, 3. მოქმედებითში, 4. ნათესაობითში, 5. მიცემითში (შემოხაზეთ)

10. გასწორეთ შეცდომები:

ბაჭმა ბოგის მხლილი ახლა შეეცალა ადგილი. ბოგომ ბაშს ბალტი გახადა. ცოლ-ქმარი ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებოდნენ. ქალმა ნანა ბეგრ-ზე გადადგო. ეცეც ბაინა ბაშეი ფანჯარასთან რომ დაეხა.

ახალი წიგნი

საენათმეცნიერო ძიებანი. IV

1974 წლის სექტემბრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა ინიციატივით ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი სემინარი „საენათმეცნიერო საუბრები", რომლის მუშაობასაც სიცოცხლის ბოლო წლებამდე ხელმძღვანელობდა ბესარიონ ჯორბენაძე.

დღემდე „საენათმეცნიერო საუბრების" სამი კრებული გამოიცა: „ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები" (1978 წ.), „ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან (1980 წ.) და „საენათმეცნიერო ძიებანი" (1983 წ.). წინამდებარე კრებული მუდმივმოქმედი სემინარის რიგით მეოთხე კრებულია. გადაწყდა წინა (მესამე) კრებულის სახელის გამორება და ნუმერაციის გაგრძელება.

„საენათმეცნიერო ძიებანის" IV კრებულის ავტორები არიან: ზ. კიკვიძე, თ. მახარობლიძე, ნ. იმნაძე, ლ. გულედანი, ნ. ჭუმბურიძე, მ. კობიაშვილი, მ. კობაიძე, მ. მელიქიძე, რ. ქურდაძე, ე. ბაბუნაშვილი, ნ. ლოლაძე, შ. აფრიდონიძე, ნ. შარაშენიძე, დ. მელიქიშვილი, ი. ჩანტლაძე, მ. ლომია, ლ. გეგეჭაძე, ჯ. ჭირია, ნ. დობორჯგინიძე, დ. თეალთაველაძე, თ. ბოლქვაძე, მ. კობალაძე, გ. ბურჭულაძე, ი. გაგუა, თ. გიორგობიანი, მ. პაიჭაძე, მ. რუსეიშვილი, თ. ფუფურგაიძე.

კრებული მცირე ტირაჟით დაიბეჭდა. მისი შეძენა შეგიძლიათ ბ. ჯორბენაძის საზოგადოებაში (ჯ. ინგოროყვას ქ. №8, ოთახი №312).

გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა"
რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში, № 1686

მისამართი:
ჯ. ინგოროყვას
ქ. №8.

ფასი
40 თეთრი